“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№12 (302)
ნოემბერი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

”LITERATURULI MESKHETI”

მესხეთს



დალი მაზმიშვილი

შენი ზეცის სილაჟვარდე მენატრება,
წრფელი განცდა ეხეთქება გულისკარს,
ჩამომდგარხარ ციხეებად, მონასტრებად,
ო, მესხეთო, მინდა გულში ჩაგიკრა!

მეც ფესვი ვარ შენეული თბილი მიწის,
მშობლიური ქარი შენსკენ მაბრუნებს,
სანთელი ვარ, ერთგულების ცეცხლით ვიწვი,
საგზლად შენი სიყვარული მარგუნე!

თმოგვის ციხევ, ნატყვიარო, კლდეფიქალო,
დიდებული სიმყუდროვით დროს უძლებ,
შენ, ხერთვისო, უღალატო მეომარო,
ვინ აგაგო, რამ აგზიდა, რა ფუძემ?

გმირთა ამბებს მოწყენილი ჰყვება მტკვარი,
შენს მთებს იქით დასმულია სამანი...
არ გვცილდება კვლავ ახალი სამწუხარი,
წლებსღა შერჩა დიდებანი თამარის!

გტკივა კოლა, არტაანი, ბასიანი,
აღარა გყავს საფიცარი მხედრებიც,
მიწა მაინც სიყვარულით სავსე არის,
ჩამომსხდარან ცაზე ღრუბლის ქედნები.

მინდვრებს ჭრელი ყვავილები მორევია,
გზებს ჩრდილების გრილი ფარჩა აცვიათ,
ფიქრი – გულში ჩაკიდული წნორებია,
სადაცაა გამოჩნდება ვარძია!

ღვთის ტაძარში სამადლობელ სანთელს ვანთებ,
ვარძიის ქვებს ჩამოხნიათ საღილე,
ო, უფალო, ამ მიწაზე რა მადლს ადენ,
სიყვარულს რომ სიყვარულით აღვივებ!

კაცის ხელმა ან ეს ქვები როგორ დრიკა,
კიბეებზე წარსულის კვალს დავყურებ,
დიდ ნათელში გამოვყავარ ქვაბთა დიდ კარს,
მდინარეში ბრწყინავს სხივთა საყურე.

მადლი რუსთველს, სათქმელს მასზე არ დაგიდევთ,
უფლის ძალა აქ ყოველ კენჭს ეცხობა,
ტარიელის, ავთანდილის მსგავს რაინდებს
აქ თუ არა, მაშ სად უნდა ეცხოვრათ?!

მეფე ქალთა სინაზეს და თვალთ მშვენებას,
ველთ ჩაბნეულ შროშანთ შრიალს ვადარებ,
გული აქ თუ მოიპოვებს ნამდვილ შვებას,
მესხეთია სიყვარულის სათავე!

როგორც წყარო, კლდეზე ვერცხლად მოელვარე,
სულს ავივსებ შენეული ცის მადლით,
საფარაა ამოსული ტყეში მთვარე,
ზარზმის კედლებს ზედ მირონი გადასდის.

აწყურს, ჭულეს, სალოცავად ისევ წავალ,
ნათლის სვეტი დასდგომია ასპინძას,
რაბათი კი ძველებურად ადებს წამალს,
სულის წუხილს, რაც გვძრავდა და რაც კი გვძრავს,



შენი ზეცის სილაჟვარდე მენატრება,
წრფელი განცდა ეხეთქება გულის კარს,
ჩამომდგარხარ ციხეებად, მონასტრებად,
სამცხის მიწავ, მინდა გულში ჩაგიკრა!

ციკლიდან: „მუჰაჯირობა“

აფხაზთა მუჰაჯირობა

ბექან ხორავა

აფხაზი ხალხის ისტორიაში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ტრაგიკული ფურცელი გადაიშალა. 1864, 1867 და 1877 წლებში მრავალი ათასი აფხაზი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და ოსმალეთში გადახვწილიყო. ეს პროცესი ისტორიაში „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი.

მუჰაჯირობა საერთოკავკასიური პროცესი იყო, რომელიც არა მარტო აფხაზებს, არამედ ქართველებს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსაც შეეხო. მუჰაჯირობა (არაბ. ,,მუჰაჯერეთ“ – გადასახლება), კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში, დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან – სამხედრო მოქმედებათა წყებასთან, რომელსაც მეფის რუსეთი კავკასიაში XVIII-XIX სს. აწარმოებდა. რუსეთის ხელისუფლებას სურდა დაუმორჩილებელ კავკასიელთა ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, გათავისუფლებული მიწები ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა და მხარის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ესარგებლა.

ცარიზმის მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა დაპყრობილი ქვეყნის კოლონიზაცია და მოსახლეობის ასიმილაცია. ცნობილი რუსი ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილი კლიუჩევსკი (1841-1911) კოლონიზაციას ,,რუსეთის ისტორიის ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევდა. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის ისტორია XVI საუკუნიდან მოყოლებული. პირველად სწორედ XVI საუკუნეში აღმოჩნდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში არარუსული მიწები: კარელია, კომი, ვოლგისპირეთი, ურალისპირეთი; XVII საუკუნეში რუსეთმა შეიერთა ციმბირი, უკრაინა, ბელორუსია; კოლონიურ დაპყრობათა პროცესი უფრო ინტენსიური გახდა XVIII საუკუნეში, როცა რუსეთმა ბალტიისპირეთი, პოლონეთი, ყირიმი და შავი ზღვის მთელი ჩრდილოეთი სანაპირო დაიპყრო; XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა კავკასია.

მეფის ხელისუფლებას სურდა კავკასია ,,სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია“, ხოლო ადგილობ-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

◀ დასაწყისი გვ. 1

აფხაზთა მუჰაჯირობა

რივი მოსახლეობა ,,ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“ *(სსრ კავშირის ისტორია, ტ. IV, მოსკოვი, 1967, გვ. 384. რუსულ ენაზე).* ამ გეგმის განხორციელებას ცარიზმი კოლონიზაციის მეშვეობით ცდილობდა, რადგან მხარის ათვისების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ეს ღონისძიება მიაჩნდა.

კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში რუსეთის მფლობელობის დამყარებას თან ახლდა ძირითადად მაჰმადიანი მოსახლეობის იძულებით ოსმალეთში გადასახლება. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს, როცა რუსეთის ჯარებმა ახალციხე აიღეს (1828 წ. 16 აგვისტო) და ქართული პროვინციის – სამცხე-ჯავახეთის ერთი ნაწილი შეიერთეს, ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველობა ოსმალეთში გადასახლდა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი მეფის ხელისუფლებამ. კავკასიის მთავარმართებელმა ივან პასკევიჩმა (1827-1831) მათ საცხოვრებელ ადგილებში 1830 წელს ოსმალეთიდან 30 ათასამდე სომეხი ჩამოასახლა. აქვე ჩაასახლეს ასევე ოსმალეთიდან გადმოსახლებული ქრისტიანი ბერძნები და რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული სექტანტები.

მუჰაჯირობის პროცესმა ფართო გაქანება რუსეთ-კავკასიის ომის (1763-1864) უკანასკნელ ეტაპზე მიიღო. 1859 წლის 25 აგვისტოს რუსეთის სარდლობას დანებდა მეოთხედი საუკუნის მანძილზე კავკასიის მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური შამილი. ამით კავკასიის ომის ერთი ეტაპი დასრულდა, რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია – ჩეჩნეთ-დაღესტანი დაიპყრო. ამის შემდეგ მთიელები დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან ბრძოლის განახლება უაზრობა იყო და გადაწყვიტეს მათთვის მიუღებელ ახლადდამყარებულ კოლონიურ რეჟიმს გაცლოდნენ. ოსმალეთის ემისრების, მთიელთა სოციალური ზედაფენისა და სასულიერო წრეების ზეგავლენით, მათ ოსმალეთში გადასახლება გადაწყვიტეს. მთიელთა ზედაფენას ეშინოდა, რომ დამოკიდებულ მოსახლეობას ჩამოართმევდნენ და პრივილეგიებს დაკარგავდა, ამიტომ გადასახლება ხსნად მიაჩნდა და ყოველნაირად ცდილობდა დამოკიდებულ მოსახლეობასთან ერთად ოსმალეთში წასულიყო; სასულიერო წრეები მთიელებს აშინებდნენ, რომ რუსები მათ რელიგიურ გრძნობებს შელახავდნენ, ძალით გააქრისტიანებდნენ, ახალგაზრდებს ჯარში გაიწვევდნენ. **,,იქ ცხოვრობენ ჩვენი ერთმორწმუნენი,** – მიმართავდნენ ისინი ხალხს, – **იქ ჩავყაროთ ჩვენი ძვლები და არა აქ, გიაურთა შორის, რომლებიც თავიანთი ბილწი ფეხებით ტკეპნიან ალაჰის მიერ მოცემულ, თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩვენი შვილებისა და მამების სისხლით მორწყულ მიწას“.**

რუსეთიც და ოსმალეთიც დაინტერესებული იყვნენ კავკასიელ მთიელთა გადასახლებით. რუსეთი იმედოვნებდა, რომ დაუმორჩილებელი მთიელების გადასახლების შემდეგ ამ მხარეში მყარი მშვიდობა დაისადგურებდა; გათავისუფლებულ მიწებს ცარიზმი კოლონიზაციისათვის გამოიყენებდა; ამ მიწებზე ჩამოსახლებულები კი ცარიზმის მყარ დასაყრდენს შექმნიდნენ. მხოლოდ მეფის ხელისუფლება ბრწყინვალე პორტასაგან მოითხოვდა, რომ კავკასიელი მთიელები რუსეთის საზღვრებიდან შორს დაესახლებინათ, რათა მის სამფლობელოებზე თავდასხმები არ დაეწყოთ. ოსმალეთი იმედოვნებდა, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი მამაცი კავკასიელი მთიელები, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთისვე წინააღმდეგ გამოეყენებინა; ომების შედეგად შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა შეევსო; დაუსახლებელი ადგილები დაესახლებინა. ამასთან ის ყველა მუსლიმანის მფარველის დროშით გამოდიოდა. რაკი ორივე მხარე დაინტერესებული იყო მთიელთა გადასახლებით, შეთანხმებაც არ გასჭირვებიათ. რუსეთი მატერიალურ და მორალურ დახმარებას აღუთქვამდა ოსმალეთს მაჰმადიან კავკასიელთა გადასახლებაში. ეს უკანასკნელი კი მათ მიღება-დაბინავებას კისრულობდა.

ამდენად, კავკასიელ მთიელთა მუჰაჯირობა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური მიზეზებით იყო გამოწვეული. ერთი შეხედვით, თითქოს რელიგიური ფაქტორი დომინირებდა, მაგრამ ძირითადი მაინც იყო პოლიტიკური ფაქტორი – რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა. ცარიზმის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ მთიელთა გადასახლებას გადამწყვეტი ბიძგი მისცა.

ოსმალეთში გადასახლდნენ დაღესტნელები, ჩეჩნები და მცირე რაოდენობით ოსები, – სულ ასი ათასამდე სული. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან მუჰაჯირობაში წასულთა რიცხვი დიდი არ იყო, რაც იმან გამოიწვია, რომ დაღესტან-ჩეჩნეთისთვის ოსმალეთი შორს იყო, ოსეთში კი მაჰმადიანთა რიცხვი – მცირე და მათ რუსეთ-კავკასიის ომში არც მიუღიათ მონაწილეობა.

რუსეთის მიერ ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დასავლეთ კავკასიის მთიელები განაგრძობდნენ. ამიტომ რუსეთის სარდლობამ კავკასიის 200 ათასიანი არმიის ძირითადი ნაწილები აქეთ გადმოისროლა. იმპერატორი ალექსანდრე II (1855-1881) სარდლობისაგან მოითხოვდა, რომ ომი, რომელიც ასე გაიწელა და უზარმაზარ სახსრებს ნთქავდა, მალე დაემთავრებინათ. კავკასიის არმიის სარდლობამ გადაწყვიტა დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა სტანიცები დაეფუძნებინა, ხოლო მთიელები ყუბანისპირა ვაკეზე ან ოსმალეთში გაესახლებინა. ამ გზით ცარიზმი ცდილობდა კავკასიელი მთიელებისათვის მოესპო ბუნებრივი თავშესაფარი მთების სახით და დაბლობზე ჩამოსახლებით თავისი ადმინისტრაციის კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, ან ოსმალეთში გადასახლებით ქვეყანაში მათი ხვედრითი წილი შეემცირებინა.

უბიხები

რუსეთის ჯარის ნაწილები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ მთების სიღრმეში. ბრძოლებში დამარცხებულ ჩერქეზთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს სარდლობა ულტიმატუმს უყენებდა: ყუბანზე წასულიყო ან ოსმალეთში გადასახლებულიყო, თუმცა მამაცი მთიელები დამორჩილებას და ,,თეთრი ხელმწიფის“ ქვეშევრდომობაში ყოფნას ოსმალეთში გადახვეწას არჩევდნენ. მათ მიწა-წყალზე კაზაკთა სტანიცები სოკოებივით მრავლდებოდა.

1864 წლის გაზაფხულზე რუსეთ-კავკასიის ომი დასასრულს მიუახლოვდა. შავი ზღვის სანაპირო ტამანის ნ/კ-დან ადლერამდე სავსე იყო კავკასიელი მთიელებით, რომლებიც ოსმალეთში წასასვლელად გემებს ელოდნენ. მაისში, რუსეთის ჯარის ნაწილებმა დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა აჰჭიფსი, – მთის თემი მდ. მზიმთას ზემო წელში, – დაიკავეს. 21 მაისს, აჰჭიფსის ცენტრში, აულ გუბაადვში (რუს. კბაადა, ამჟ. კრასნაია პოლიანა) კავკასიის ომი დამთავრებულად გამოცხადდა. ამით დასრულდა რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის ხანგრძლივი პროცესი.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ჩერქეზებისა და აბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი 1858-1864 წწ. ოსმალეთში გადასახლდა. ზოგიერთი ხალხი და ეთნოგრაფიული ჯგუფი, მაგალითად უბიხები – მთლიანად. ამრიგად, კავკასიელ მთიელთა ძალდატანებითი გადასახლება ოსმალეთში, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიელ მთიელთა მიმართ გატარებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება იყო.

გადასახლების პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის არ დარჩენილან ჩერქეზები და აბაზები, მხოლოდ მათი მცირე ნაწილი აულებად ჩაასახლეს ყუბანზე. სულ, ოფიციალური მონაცემებით, დასავლეთ კავკასიიდან ოსმალეთში თითქოს 470 ათასი ადამიანი გადასახლდა, თუმცა, ეს ციფრები რეალობას ვერ ასახავს. უკანასკნელი გამოკვლევებით, დასავლეთ და ცენტრალური კავკასიიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულთა რიცხვი 700 ათასიდან მილიონამდე მერყეობს.

ომის დამთავრების შემდეგ, *„ახლადდაპყრობილი მხარე არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა,* – წერდა გენერალ-მაიორი სერგეი დუხოვსკი, – *მაისის ბოლოს, ივნისში და შემდეგ, გადაიხედავდი მაღალი მთიდან და ხედავდი შესანიშნავ ხეობებს, ქედებს, მთებს, მდინარეებსა და ნაკადულებს; ბაღებს შორის აქა იქ ჩანდა ნასახლარების კვალი, მაგრამ ყოველივე ეს უსიცოცხლო იყო, არსად სულიერის ჭაჭანება არ იყო. ზოგან ახალამოწვერილი ხორბალი ჯერ კიდევ მოწმობდა არცთუ დიდი ხნის წინ აქ მოსახლეობის არსებობას, მაგრამ სახნავი მინდვრები მეტწილად მიგდებული და მიყრუებული იყო და მხოლოდ შარშანდელი სიმინდის გადაჭრილი ღეროები მოწმობდა, რომ აქ ოდესღაც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ადამიანები. არ გინდოდა დაგეჯერებინა, რომ ამ უზარმაზარ სივრცეში, რასაც მაღალი მთის თხემიდან თვალი წვდებოდა, სულიერი არ ჭაჭანებდა. მიუხედავად ამისა, ეს ასე იყო. მთელი ეს შესანიშნავი ხედები, ბუნების ეს შესანიშნავი ქმნილება უსიცოცხლო იყო და მნახველზე უფრო მძიმე და სევდიან შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე სასიამოვნოს“.*

მძიმე იყო სამშობლოს მიტოვება. მთიელები ეთხოვებოდნენ მამა-პაპათა სალოცავებს, ახლობელთა საფლავებს, ჩააქრობდნენ კერიას, სახლებს გამოკეტავდნენ და გულდამძიმებულები ზღვის სანაპიროსაკენ მიდიოდნენ. სანაპიროზე მიწას ემთხვეოდნენ, უკანასკნელად ესროდნენ ცრემლიან მზერას მთებს და მიიჩქაროდნენ, რათა რეიდზე მდგარ ხომალდებში ჩამსხდარიყვნენ და წასულიყვნენ იქითკენ, საიდანაც ვერასოდეს დაბრუნდებოდნენ. თურქული აფრიანი გემები მოძველებული იყო. ფულს დახარბებული ხომალდების მეპატრონეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მუჰაჯირი წაეყვანათ. ამიტომ ხომალდები გადაჭედილი იყო ხალხით. მგზავრებს, შორ და ძნელ გზაზე ზღვის ავადმყოფობა აწამებდა, სანოვაგე და წყალი მალე ილეოდა, დახმარება კი არ ჩანდა. ბევრი ვერ უძლებდა მძიმე მგზავრობას და იღუპებოდა, განსაკუთრებით, ბავშვები. თურქი ასკერები მიცვალებულებს ზღვაში ყრიდნენ, ხშირად, მოხუცებსაც, როგორც უსარგებლო და გამოუსადეგარ ტვირთს, თავიდან იშორებდნენ. ყველგან მოთქმა-გოდება ისმოდა. ვინც ზღვაზე სიკვდილს გადაურჩა, ოსმალეთის სანაპიროზე გადმოსხეს. მათ არავინ დახვედრია, არავითარი დახმარება არ გაუწევიათ. არსად ჩანდა დაპირებული სამოთხე რძის მდინარეებით. შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ ისინი უკაცრიელ, უნაყოფო, გამოფიტულ მიწებზე დაასახლა. ერთადერთი ასპარეზი, სადაც მამაც კავკასიელ მთიელებს თავის გამოჩენა შეეძლოთ, ოსმალეთის არმია იყო. ბევრი შიმშილისა და ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა, ვინც გადარჩა, თანდათან ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფა, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ეთნიკური თავისთავადობა, საკუთარი ენა. მიუხედავად ტომობრივი კუთვნილებისა, თურქები ყველას ჩერქეზებს ეძახდნენ.

ასე გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან ქართველების უახლოესი მეზობლები – ჯიქები და უბიხები. მამაცი უბიხების ტრაგედია ასახულია აფხაზი მწერლის **ბაგრატ შინქუბას** რომანში ,,უკანასკნელი უბიხი“. რეალურად, უკანასკნელი უბიხი იყო ტევფიკ ესენჩი (1904-1992), უბიხური ენის უკანასკნელი მცოდნე, რომლის სიკვდილთან ერთად გაქრა უბიხური ენა. კაცობრიობის ისტორიაში ძვირფას განძად რჩება ფრანგი ენათმეცნიერის **ჟორჟ დიუმეზილის** მიერ მისგან ჩაწერილი და გამოცემული უბიხური ტექსტები. თურქეთში, ბალიქესირის რაიონის სოფელ ჰაჯი-ოსმანში არის საფლავი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: *,,აქ განისვენებს ტევფიკ ესენჩი, უკანასკნელი უბიხი, რომელმაც უკვდავყო უბიხური ენა, წერდა და ლაპარაკობდა ამ ენაზე“.*


ტევფიკ ესენჯი

კავკასიელ მთიელთა ძალდატანებით ოსმალეთში გადასახლების გამო ევროპაში დიდი ხმაური ატყდა. რუსეთის ხელისუფლება თავს იმართლებდა, რომ ეს მათი ნება-სურვილით არ მომხდარა. ცნობილი პუბლიცისტი, გენერალ-მაიორი **როსტისლავ ფადეევი,** რომელიც ოფიციალურ აზრს გამოხატავდა, მაშინ წერდა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა *,,შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოეშორებინა მთიელები და ეს ტერიტორია რუსებით დაესახლებინა, რაც რუსული სამფლობელოების უსაფრთხოებისათვის აუცილებელი იყო“.* ის ცინიზმით აღნიშნავდა, რომ *„არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში განდევნა. რუსეთს საკმარისად ჰქონდა მიწები მათ დასასახლებლად მდ. ყუბანის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ ასევე არავითარი მიზეზი არ არსებობდა, მათი სურვილის წინააღმდეგ დაეკავებინათ ისინი“.* როსტისლავ ფადეევი მეტ გულახდილობასაც იჩენს და აღნიშნავს, რომ *,,ეს მიწა სჭირდებოდა სახელმწიფოს“,* ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას რაც შეეხება, *,,მათი არავითარი საჭიროება არ არსებობდა“.* 1861-1864 წწ. ცარიზმმა დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა 111 სტანიცა ჩაასახლა, 14 239 ოჯახი, 85 ათასი სული. იმავდროულად, ამ მხარეში ასახლებდნენ იმპერიის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ რუსებს და სხვ. მხარის კოლონიზაციის პროცესი შემდეგშიც გრძელდებოდა.

დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ 1865 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების ახალი ტალღა დაიწყო. თუკი ჩერქეზებისა და აბაზების გადასახლება მათი სამხედრო დამარცხების უშუალო შედეგი იყო, ჩეჩნეთ-დაღესტნიდან, ყაბარდოდან და ოსეთიდან გადასახლებით ცარიზმი ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ხელისუფლების განმტკიცებას

→

ცდილობდა. ჩეჩენთა გადასახლების პერიპეტიები ასახულია ქართველი მწერლის **ალექსანდრე ყაზბეგის** ბრწყინვალე მოთხრობაში ,,ელისო“, სადაც გადმოცემულია ქართველი ვაჟისა და ჩეჩენი ასულის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. 1869 წელს ოსმალეთში გადასახლდნენ ქართველები ზაქათალის ოლქიდან.

მუჰაჯირობის პროცესი აფხაზეთსაც შეეხო. დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა, ცარიზმმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო. უკვე არ არსებობდა აფხაზეთის სამთავროს შენარჩუნების აუცილებლობა და თვითმპყრობელობა დაპყრობილი მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობისა და კოლონიზაციისათვის ზრუნვას შეუდგა. ხელისუფლებას აფხაზეთის მიმართ სპეციალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროს კოლონიზაციას ითვალისწინებდა.

ჯერ კიდევ კავკასიის ომის დამთავრებამდე, როცა აფხაზეთის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, კავკასიის მეფისნაცვალმა **მიხეილ რომანოვმა** სამხედრო მინისტრის **დმიტრი მილიუტინისადმი** 1864 წლის 27 მარტს გაგზავნილ წერილში სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა. მისი აზრით, ეს ღონისძიება საჭირო იყო იმისათვის, რომ შესრულებულიყო უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული პროექტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე კაზაკთა სტანიცების მოწყობის შესახებ. მეფისნაცვალმა ამის თაობაზე პრაქტიკული წინადადებები წამოიყენა. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთის მიმართ სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც ითვალისწინებდა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას. ისევე, როგორც თერგისა და ყუბანის ოლქებში, აქ დასახლებულ კაზაკებს უნდა შეექმნათ აფხაზეთის კაზაკთა ჯარი. ამ მიზნის მიღწევისათვის აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებისა და მემამულური მიწისმფლობელობის არსებობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, რადგან ასეთ პირობებში აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმას ცარიზმი ვერ განახორციელებდა. მხარის კოლონიზაციისათვის თავისუფალი მიწები არ არსებობდა, ამიტომ ჯერ საჭირო იყო მკვიდრი მოსახლეობისაგან ამ მიწა-წყლის „გაწმენდა“.

1864 წლის აპრილში იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ** (1855-1881) მოიწონა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ წარმოდგენილი წინადადებები. მაისში მიხეილ ნიკოლოზის ძეს გაეგზავნა შესაბამისი მითითებები, რომელთა რეალიზაცია მან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს **დმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის** და აფხაზეთის ჯარების სარდალს, გენერალ **პაველ შატილოვს** დაავალა. 24 ივნისს მეფისნაცვალმა ოფიციალურად აუწყა **მიხეილ შარვაშიძეს** იმპერატორის ბრძანება აფხაზეთის მთავრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე მზად ჰქონდათ წინადადებები აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ მისი მიწა-წყლის მკვიდრი მოსახლეობისაგან გათავისუფლების შესახებ. დმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ **ალექსანდრ კარცოვს** 1864 წლის 27 ივნისს წერდა: ***„თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ ოსმალეთში გადასახლებას მოისურვებს, ვფიქრობ, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“***-ო.

ხელისუფლებას სურდა, რაც შეიძლება ჩქარა შედგომოდა აფხაზეთის კოლონიზაციას. ***„თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ჩვენ ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკრუსების მეშვეობით“,*** – აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მისი წინადადებით ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიას შორის საზღვრად უნდა დადგენილიყო გაგრის ქედი და ესეც მხოლოდ ერთი მიზნით: ***„თუ ჩვენ ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფის ორსავე მხარეს,*** – წერდა დ. სვიატოპოლკ-მირსკი 1864 წლის 6 ივნისის წერილში გენერალ ა. კარცოვს, – ***შევძლებთ საფუძველი ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში“.***

1864 წლის 12 ივლისს ცარიზმმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. იგი შედგებოდა ბზიფის, სოხუმის, აბჟუის ოკრუგებისაგან. მასში შევიდა ნებელდის საბოქაულოც. სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) უფროსად აფხაზეთის ჯარების სარდალი, გენერალი **პაველ შატილოვი** დაინიშნა. ამრიგად, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღებით ამ მხარეში კოლონიური პოლიტიკური რეჟიმი მკვიდრდება.

აფხაზეთში უშუალო რუსული მმართველობის დამყარების პარალელურად, ივლისში, აფხაზეთის დაუმორჩილებელ მთის თემში – ფსხუში, მდ. ბზიფის ზემო წელში, რუსეთის ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის მხრიდან, სანჭაროს უღელტეხილით და აფხაზეთიდან, დოუს უღელტეხილით. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ბზიფის შენაკადის მდ. გრიბზას ნაპირებზე. ფსხუელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ბრძოლის შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა ფსხუელებმა ცეცხლი წაუკიდეს თავიანთ სახლებს და ხეობა დატოვეს. ფსხუელების დიდი ნაწილი, 3500 სულზე მეტი ზღვისკენ გაემართა, გუდაუთაში გემებში ჩასხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა, მხოლოდ მცირე ნაწილი, 900-მდე სული დათანხმდა ყუბანის ოლქში გადასახლებულიყო. ამის შედეგად მთლიანად გაუკაცურდა ბზიფის ხეობის ზემო წელი. ასე განხორციელდა აფხაზთა პირველი მასობრივი ძალდატანებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში.

1865 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა ოკრუგების მიხედვით ასეთი იყო: სოხუმის - 2826 კომლი, 16 475 სული; ბზიფის - 3 726 კომლი, 20 090 სული; აბჟუის - 5 049 კომლი, 32 182 სული; ნებელდის საბოქაულო - 1436 კომლი, 10 443 სული; სულ - 13 037 კომლი, 79 190 სული.

1866 წელს ცარიზმმა სოხუმის სამხედრო განყოფილებაში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის მზადება დაიწყო, მაგრამ აფხაზეთის სოციალურ-საზოგადოებრივი წყობის თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ, ჩინოვნიკური აპარატის უხეშმა ჩარევამ აფხაზთა ცხოვრების წესში, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიუღებელმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ და თავისი ხასიათით ბატონყმური რეფორმისათვის ნიადაგის მომზადებამ აფხაზეთის მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. რუსული მმართველობის დამყარებიდან ორი წლის შემდეგ, იმდენად ამაზრზენი აღმოჩნდა მათი მმართველობა, რომ აფხაზთა მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყება დაიწყო 1866 წლის 26 ივლისს სოფ. ლიხნში და მალე თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა, რითაც საგრძნობლად შეაშფოთა კავკასიის რუსული ადმინისტრაცია. ცარიზმმა აფხაზეთში სასწრაფოდ გადაისროლა ჯარის ნაწილები და აგვისტოში აჯანყება ჩაახშეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ცარიზმი მხარის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმის მომზადებას შეუდგა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული კონტროლის გაძლიერებას. 1866 წლის 11 აგვისტოს დებულების თანახმად სოხუმის სამხედრო განყოფილება (აფხაზეთი) ბიჭვინთის, დრანდის, ნებელდის, ოქუმის ოკრუგებად დაიყო. ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით შევიდა მასში ქ.სოხუმი. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლება მიენიჭა, თუმცა ნომინალურად ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა.

იმის გამო, რომ ცარიზმს გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. ბზიფიდან მდ. ენგურამდე შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაცია კაზაკ-რუსებით, სამურზაყანო (ოქუმის ოკრუგი), ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის, აფხაზეთს შეუერთეს.

1866 წლის აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა ოსმალეთში გადასახლების გეგმის პირველი დასაბუთება, რომელიც მოცემულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის 1866 წლის 27 ოქტომბრის მიმართვაში კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსისადმი. მასში ნათქვამია: ***„არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლება“.*** დმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, თუ ამ ნაბიჯზე წავიდოდნენ, ყველა სხვა საშუალება ზედმეტი იქნებოდა და საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდებოდა. ამასთან, იგი ამ ღონისძიებას იმ სისტემის დაგვირგვინებად მიიჩნევდა, რაც მიღებულ იქნა დასავლეთ კავკასიის მთიელთა მიმართ. კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აფხაზთა გადასახლებას მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნევდნენ, რამდენადაც აფხაზეთი და ნებელდა გეოგრაფიული მდებარეობის გამო დიდ როლს ასრულებდნენ კავკასიის ომის დროს და, მათი აზრით, კვლავაც ექნებოდათ დიდი მნიშვნელობა კავკასიაში ყოველგვარი საომარი მოქმედების დროს. ამიტომ ამ მხარის მუსლიმანი მოსახლეობის შემცირება მათი ოსმალეთში გადასახლების გზით, ხელს შეუწყობდა პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ამ მხარეში. კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ***„აფხაზთა გადასახლების მთავარ ამოცანად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან მოსახლეობის იმ ნაწილის მოშორება, რომელიც ხელისუფლებისადმი ყველაზე უფრო მტრულად იყო განწყობილი“.***

1866 წლის ნოემბერში **ალექსანდრე II** დათანხმდა პირველივე შესაძლებლობისთანავე გაესახლებინათ აფხაზეთისა და ნებელდის მუსლიმანი მოსახლეობა ოსმალეთში. იმპერატორისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა კავკასიის ჯარების შტაბის უფროსს, გენერალ **ალექსანდრ კარცოვს** უბრძანა, დაუყოვნებლივ შედგომოდა ამ გადაწყვეტილების შესრულებას. თავის მხრივ, მუსლიმანი აფხაზებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ოსმალეთში გადასახლებას, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს ოსმალეთში, გრაფ ნიკოლაი იგნატიევს დაავალა ამის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა პორტასთან. მალე, რუსეთის ელჩი შეუთანხმდა ოსმალეთის საგარეო-საქმეთა მინისტრს **აალი ფაშას** აფხაზთა გადასახლების შესახებ. შეთანხმება მოხდა იმაზეც, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას მუჰაჯირები რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა.

კავკასიის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ იმჟამად ხელისუფლებისათვის უმთავრესი აფხაზთა გადასახლების საკითხი იყო. ამასთან, ხელისუფლება აღიარებდა, რომ თუ აფხაზეთის მთელი მუსლიმანი მოსახლეობა მოისურვებდა გადასახლებას, გარკვეულ სირთულესა და უხერხულობას შექმნიდა. ამიტომ, მათი აზრით, ეს პროცესი უნდა დაერეგულირებინათ. რეკომენდირებული იყო ასევე, რომ გადასახლებულთათვის უკან დაბრუნების ნება არ დაერთოთ.

რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარ განსაზღვრა ემიგრანტთა რიცხვი. ნავარაუდევი იყო აფხაზთა 4500 ოჯახის გასახლება. თავის მხრივ, პორტა მზადყოფნას გამოთქვამდა აფხაზეთიდან 4000 ოჯახი მიეღო.

1867 წლის 13 თებერვალს მეფისნაცვალი **მიხეილ რომანოვი ალექსანდრე II-ს** (1855-1881) წერდა, რომ კავკასიის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ძალით არ განდევნოს აფხაზები ოსმალეთში, მაგრამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ გადასახლებას. ამასთან, ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველ რიგში გაესახლებინა კოდორის ხეობის შუა და ზემო წელის – ნებელდა-დალის მუსლიმანი მოსახლეობა ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ხელისუფლება ითვალისწინებდა, რომ ამ თემების მოსახლეობა ცხოვრობდა მთის ძნელად მისადგომ ადგილებში და კავკასიონის ქედის უღელტეხილებით კავშირი ჰქონდა ყარაჩაელებთან და ყაბარდოელებთან. ამასთან, ხელისუფლება მათ რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლაშიც სდებდა ბრალს და მისი სურვილი იყო პირველ რიგში იმ ხალხის გადასახლება, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებული იყო აჯანყებასთან.

ოსმალეთისაგან თანხმობის მიღების შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის არმიის მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა განკარგულება გასცა აფხაზთა გადასახლების პროცესი 1867 წლის აპრილის ბოლოს დაწყებულიყო. შესაძლო არეულობის აღსაკვეთად, აფხაზეთში დამატებითი ჯარის ნაწილები გადაისროლეს. ჯერ კიდევ გადასახლების დაწყებამდე, 1867 წლის 6 აპრილს, სოფ. ფსირცხადან მუჰაჯირთა პირველი ნაკადი სამი ხომალდით წავიდა ბათუმში, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ესენი იყვნენ ჯიქები და ფსხუელები (49 ოჯახი, 218 სული), რომლებიც სოფ. ფსირცხაში 1864 წლიდან ცხოვრობდნენ.

1867 წლის აპრილის ბოლოს მუჰაჯირობის ორგანიზებული პროცესი დაიწყო. აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა, რაც აშკარად ჩანს იმდროინდელი დოკუმენტებიდან. 1867 წლის 31 მარტს მეფისნაცვალი იმპერატორს წერდა, რომ ბიჭვინთის ოკრუგის მცხოვრებთ არ სურდათ ოსმალეთში ნასვლა. მუჰაჯირობის ცხელ კვალზე, 1867 წლის ივნისში გაზ. „დროება“ იუწყებოდა: ***„აფხაზები ძლიერ დაჯავრიანებულნი არიან... სამურზაყანოში კანკალებენ შიშით, ვაითუ ჩვენც გადაგვასახლონო... აქაურებს და აფხაზებს დიდი ნათესაობა აქვთ. ნებელდელები, დალელები და გუფუელები წავიდნენ. აბჟუის მაზრიდანაც მრავალი წავიდა. ჭილოუელები და ჯგერდელები გამორეკეს თავიანთი ბინიდან. მათ საშინელი გულით არ უნდათ წასვლა. აფხაზები დიდად აქებენ ბზუფუს მაზრის უფროსს დიმიტრი ჭავჭავაძეს. მან მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათ, რომ რუსის მმართველობის ქვეშ ყოფნა სჯობს ოსმალეთში გადასახლებას“.***

(გაგრძელება იქნება)

დიმიტრი კორძაია - 65

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში ალბათ იშვიათია ადამიანი, ვინც ვერ იცნობდეს ისეთ გამორჩეულ კოლორიტულ პიროვნებას, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი კორძაიაა.

ძნელია შეაფასო მისი ღვაწლი ქართული მედიცინის განვითარების საქმეში, თუმცა მისი მსგავსი ადამიანები მარტო თავისი პროფესიული საქმიანობით როდის შემოიფარგლებიან, ისინი თავის ნიჭსა და ძალისხმევას სხვა მიმართულებითაც გამოხატავენ.

ბევრს, ალბათ, გაუკვირდება, სად მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და სად გაზეთი „ლიტერატურული მესხეთიო“, მაგრამ სულით ხორცამდე სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ბატონი დიმიტრის მთელი ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა მისაბაძი და განსაზოგადოებელია. სამედიცინო დარგის განვითარებასთან ერთად მას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქართული კულტურისა და, ზოგადად, ლიტერატურის განვითარების საქმეში, ურომლისოდაც ერს მომავალი არ უწერია.

ბატონ დიმიტრი კორძაიასთან გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამაკავშირებელი ხიდი „პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა“ აღმოჩნდა, რომლის აღდგენის დღიდან – 2008 წლის სექტემბრიდან, ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებით განმტკიცდა და იგი ამ სახალხო დღესასწაულის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ წლიდან მოყოლებული ჩვენ მიერ არ ჩატარებულა არცერთი ლიტერატურული კონკურსი, რომლის დაფინანსებაში მას არ მიეღოს მონაწილეობა. უფრო მეტიც, ბატონ დიმიტრის ორგანიზებით რამდენჯერმე მოეწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში ჩვენ მიერ ჩატარებული „ლიტერატურული კონკურსების“ გამარჯვებულებთან შეხვედრები და სატელევიზიო არხებით მისი გაშუქება. იგი, ამავდროულად, ამ კონკურსების ჟიურის წევრიც გახლდათ. მისი განსაკუთრებული მხარდაჭერით „ლიტერატურულ მესხეთთან“ გააქტიურეს თანამშრომლობა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა როგორც დედაქალაქიდან, ასევე რეგიონებიდან, რამდენიმე მათგანი „შოთაობის“ და სხვა ლიტერატურული კონკურსების პრემიის ლაურეატიც გახდა.

„აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ – უთქვამს ბრძენ კაცს და ბატონი დიმიტრიც ყოველთვის იქ დგას, სადაც საკუთარი გული კარნახობს – ქართული ეროვნული კულტურის სადარაჯოზე. მას სხვაგვარად არ შეუძლია იცხოვროს, რამეთუ იგი იმ დიდებული პოეტური ტრადიციების მქონე ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, იმ ქართული გენისა და ჯინის გამგრძელებელია, რომელსაც ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – ჯანსუღ კორძაიას შვილობა ჰქვია.

ღირსების ორდენოსანი ცნობილი დასტაქარი, მრავალი წელია ღირსეულად დგას სიცოცხლის სადარაჯოზე და, იმავდროულად, მოცალეობის ჟამს, უშურველად აწვდის „სულის პურს“ მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს.

11 ნოემბერი თქვენი დაბადების დღეა, ბატონო დიმიტრი, ქართული მედიცინისა და პოეზიის ერთგულო მსახურო. 65 წელია ზემოდან გადაჰყურებთ თქვენს განვლილ წლებს და სიამაყით ივსებით, რომ ყოველთვის სიკეთეს, ადამიანთა შორის სიყვარულს თესავთ და ჭარმაგობის ჟამს ღირსეულად იმკით ნაამაგარს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით გილოცავთ, ჩვენო ერთგულო და დიდო მეგობარო, 65 წლის საიუბილეო თარიღს. ღმერთმა კიდევ დიდხანს მოგცეთ თქვენთვის ჩვეული ჭაბუკური შემართება და კიდევ ბევრი შეგაძლებინოთ სამშობლოსათვის ერთგული სამსახური.

გლოცავთ, გვეიმედებით, ბატონო დიმიტრი და გვჯერა, კიდევ დიდხანს იკაშკაშებს მარადიულ ვარსკვლავთა შორის ის ვარსკვლავი, რომელიც მთელი ცხოვრება თავზე დაგნათის.

ავთანდილ ბერიძე

დიმიტრი კორძაია

ჩემს თამარს

მოგეახლები ძველი მუდარით,
შენს სიყვარულში მარად უცვლელი;
იყავი ჩემი ნავთსაყუდარი,
ჩემი კალენდრის ბოლო ფურცელი,

ჩემი ვაჟკაცის მკაცრი მეურვე,
ჩემი ასულის ნაზი მზუნველი,
ჩემი სათნო და ძნელი მეუღლე
და ჩემი სახლის სუნთქვა-სურნელი!

თუმცა ცხოვრების მეტი ნაწილი
შემოწმებული გაქვს ჩემს თვალებში,
ჩემი ოცნების მთების არწივი
კვლავ შენ გიყივის თეთრ მწვერვალებში.

რაც უნდა წლებმა გადამათოვოს,
მე ვერ გავწირავ თავს საამისოდ:
ოცნებაშიაც ვერ მიგატოვო
ყოველ წელს ჩემო დიდო გაისო!

თუმცა ამდენი წელი გასულა,
არ დალეწია ჩვენს გემს ანძები,
დღეს ზარი უფრო მაღლა ასულა
შენთვის აგებულ ჩემი ტაძრების!

ისევ აქ ვდგავარ, ისევ მდომელი
შენი ღიმილის, შენი გულისთქმის...
თითოეულ წლის ვარ მადლობელი,
მადლობელი ვარ სიყვარულისთვის!

***

სულ სხვა სიღრმეებს იტევს ახლა
შენი თვალები,
შენი ღიმილი, თუმც დაღლილი,
მაინც ბავშვური,
მაინც სავსე ხარ შემართებით ამორძალების _
ველურ მერნებს რომ აფიცხებენ
ლახტის ტყლაშუნით!

დღეს სულ სხვა ზეცა ირეკლება მაგ
შავ თვალებში:
ქართული სულის ყველაფერში სანთლით
მძებნელის,
დიდი ოჯახის ყველა ფიქრის
მთავარ ფარეშის,
ექიმთა ფიცის სიდიადის შემმეცნებელის...

დღეს სულ სხვაგვარად მხიბლავს
შენი მზერის ნათელი,
გიმზერ უფლის გზით მავალსაც და
მსასოებელსაც...
საზვერეებშიც თუ გამყვება შენი ნათელი –
მე – ცოდვილს,
თუმცა, ღვთის განგებით ხომ შენს
მხლებელსაც?!

შენს სიყვარულში სამ ათწლეულს
თავი გავართვი
(მარადისობის ერთი წამი, ერთი იოტა),
და თუკი მიწევს „გასაწევი უფლის ბარათი“,
შეყვარებული მივაშურებ საიქიოსაც!

მაგრამ მანამდე, თუმცა შენი თვალის
გუგებში
შვილებს, შვილიშვილს დაუპყრიათ
მთელი არენა,
მაინც გაკრთება შენახული ჩემთვის ნუგეში
და კვლავ მზადა ვარ შენს ხელახლა
შესაყვარებლად!

***

ბოლომდე დავრჩი შენი ერთგული...
გზაც უშორესი ბოლოს დამნებდა,
ისევ აქა ვარ, სუნთქვაშეკრული,
მცხეთის კარებთან, მცხეთის კარებთან...

ცაზე ინთება დილა ივლისის,
სულშიც დილაა ჩაუქრობელი,
სულ ახლოსა ხართ შენ და თბილისი,
გასაოცარი და ახლობელი!

გიახლოვდები! ეს მონატრება
დღეს ასრულდება, ვიცი, ზღაპრულად...
შენა ხარ მზეზე მზის მომატება,
რომ მეტი ცეცხლით დამწვას ზაფხულმა!

ძველი რვეულიდან

***

„სამშობლო არის „საკუთარი მეს“
განზოგადება“
რომან შენგელია

თუ სიყრმისეულს ისევ ვგრძნობ ძალას
(მე უფალს შევთხოვ, ცოტაც მაცხოვროს) _
მსურს მცხეთის ჯვრიდან გიძღვნიდე
სალამს,
და მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

გადასახდელი მაქვს შენი ღალა
(ვინძლო, იმქვეყნად ღმერთმა მაცხონოს),
მსურს ზედაზნიდან გიძღვნიდე სალამს
და მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

მალე ეს ძვლები მიწაში ჩავა
(სანამ ვარ – შენზე რითმა ვაცხოვლო...),
მინდა მცხეთიდან გიძღვნიდე სალამს
და მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

* * *

ოცდამეერთე სხვა მზეს აანთებს,
მეოცე მიდის – გარდუვალია!
დროს გაუფრთხილდი, წუთებს, საათებს,
საქართველოსთვის, – შენი ვალია!

დროს გაუფრთხილდი, ნელი ტაატით
არ წაგილეკოს სივრცე ღვარული,
დასდე ყოველი წუთი, საათი,
საკურთხეველზე შენი მამულის.

და ვიდრე შენს ზარს ჩამოკრავს ღმერთი,
ვიდრე წილად გხვდა ქვეყნად წვალება,
დაღვარო სისხლის ყოველი წვეთი
ქართულ მიწისთვის, შენ გევალება.

დროს გაუფრთხილდი – ხილვას აანთებს
ახალს და მაღალს – გარდუვალია!
ფეხდაფეხ მიჰყევ წუთებს, საათებს,
საქართველოსთვის, შენი ვალია!

* * *

რაც ვერ შევძელი, რაც ვერ ვქმენი,
შეგწირე რაც ვერ
(იქნებ მომავლის ბევრი ღამეც
უქმად ვათიო),
შეკრიბე ყველა, მერე ხელი
კისერში მტაცე,
სამშობლოვ ჩემო, არაფერი
არ მაპატიო!
შენს სულს და სხეულს, სისხლით ნაბანს,
ცრემლით ნატირებს,
ვეტყვი – მსურს ნიჭად შენთან ფიქრით,
საქმით ერთობა...
ნუ მაპატიებ, გთხოვ ნურაფერს
ნუ მაპატიებ,
არ მივეჩვიო, მეშინია,
შენგან შენდობას!

* * *

„თავდაპირველად არ იყო სიტყვა,
თავდაპირველად იყო ღიმილი...“
ვახტანგ ჯავახაძე

როგორ მენატრება შენი მონატრება,
ფიქრი ოცნებათა როცა მონა ხდება,
შენი შუბლის შეკვრა, შენი გაღიმება,
რომ არ ვიცოდი და ძვირი ნაღირება!
როგორ მენატრება შენთან მოკრძალება,
შენგან ატეხილი რითმის მოძალება,
შენით ავსებული ღამე მთვარეული,
ფიქრში ხეტიალი – გზა-კვალ არეული...
როგორც ბიბლია და როგორც სახარება,
ისე მენატრება შენი გახარება...
ველარც ავიცარი, აღარც მემართება
შენი მონატრების მძაფრი შემართება,

ფიქრის მენატრება დაშლა შენ ნატვრებად,
შენი მონატრება ისე მენატრება!

* * *

მთლად ავირიე რითმის ხვეულით,
ეგებ უბრალოდ გითხრა – მიყვარხარ!
რომ ნა-რხეული შენი სხეული
მაეჭვებს, ისევ ოცი წლისა ხარ!

უბრალოდ გითხრა – ასე ფერმკრთალი
ხარ სალოცავი და სამუდამო...
მაგრამ ვერ ბედავს გული შემკრთალი,
რომ გაგიმხილოს რამე უბრალოდ.

საპირველაპრილოდ

თუმც ამდენი წელია ჩემს დედოფალს
გიწოდებ,
დღეს, საპირველაპრილოდ, არ.... მიყვარხარ,
იცოდე!

მახსოვს ყველა ის წუთი, როცა არ
შემიცოდე,
მეც, საპირველაპრილოდ, არ მიყვარხარ,
იცოდე!

შენი ეშხით არ ვიწვი, ან რად უნდა ვიწვოდე,
დღეს, საპირველაპრილოდ, არ... მიყვარხარ,
იცოდე!

დამებზარა ფირფიტა, სიტყვაც ძნელად
ისმოდეს:
არ... მიყვარხარ, იცოდე!
არ... მიყვარხარ, იცოდე!
არ... მიყვარხარ, იცოდე!
არ... მიყვარხარ, იცოდე!

(და ა.შ. ფირფიტის საბოლოოდ
დამსხვრევამდე).

სილნაღლის მონატრება

მაყვალა ღვედაშვილი

მაინც რა უღვთოდ უყვარდა ეს ქალაქი!განსაკუთრებით ნისლიან დღეს. მზეს დაბლა, წნორში მოიტოვებდა, თავად კი ნისლის სამეფოში, ნისლსავე ფერებს აჰყვებოდა ზევით.

ქალაქი ნაცრისფერი ფარდით შებურული ხვდებოდა. ქუჩები სავსე იყო ბურუსით.

ჩამოსვლაც ჯადოსნური იყო... მზის ბრიალა სხივებს ზევით, ქალაქში სტოვებდა, ღმერთებთან ახლოს. თვითონ კი ნისლის იალქნით დაბლა მოცურავდა, მაგრამ სადღა იყო წნორი, ახლა ის გამხდარიყო ნისლის მასპინძელი. მთვლემარე გველეშაპივით რომ გადასწოლოდა ალაზნის ველს და მსხვერპლის მოლოდინში მშფოთვარედ ფშვინავდა.

ხანდახან, შორეული ლანდები მოეძალებოდა: გაახსენდებოდა კახელების სათაყვანებელი მეფე ერეკლეს სტუმრობა მისსავე გამაგრებულ ქალაქში. ეკლესიის ზარების გუგუნში გადმოსცდებოდა ქალაქის კარიბჭეს... რა ზარზეიმი იდგა! მთელი ქალაქი გარეთ გამოფენილიყო. ქუჩის ორსავე მხარეს ჩამწკრივებული დუქნები გამოეკეტათ. აღარ ისმოდა სახელოსნოებში კაკუნი. ძველებურ რიკულებიანი აივნებიდან გადმომდგარი ქალაქის ბანოვანნი კეკლუცობენ, კისკისებენ, მათი ეშხი მათრობელა კახურივით აბრუებს გარშემომყოფებთ.

საღამო ჟამს კი ლხინის ხმა მოისმოდა ხშირი მუხნარიდან.

მისთვის ქალაქი ოლიმპოს მთა იყო. მუზათა საუფლო. ყოველი წლის „ვანობა“ კი – მუზების თავშესაკრები ადგილი. იყო სიმღერის ზეიმი და ლექსთა ჭიდილი.

სად უნდა ენახა კაცს ასეთი სილამაზე, სად?

ხანგამოშვებით „ამირანის“ გულშემძვრელი გმინვაც ჩაესმოდა, რომელიც ხან ჩაწყნარდებოდა, ხან კი ვულკანივით გაიღვიძებდა.

ქალაქი – სიმაღლე ოცნებაშიც კი მიუწვდომელი დარჩა. მასთან გატოლება არავის შეეძლო. რა ახლოს იყო მაღალ ღმერთთან. ერთხელ ისიც იფიქრა: აქედან ხომ არ აჰყვა ამირანი მზის პირველ სხივს ღმერთებთან ცეცხლის მოსატაცებლადო. იქნებ ამიტომაც მფარველობს ქალაქს დღემდე მითოლოგიური გმირის ქანდაკება?

იმედი ჰქონდა ზეცად მიახლოებულს, ყველაზე მეტად ქიზიყელი გლეხკაცის ვარამსა და გულის ქოთქოთს გაიგებდა. მაგრამ ამაოდ, ზეციური განურჩევლად აბერტყავდა საქართველოს ყველა კუთხეს სიკეთესა და ბოროტებას.

ვისი გულდამწვარი ლოცვა ჩაესმის?

ვინ ავედრებს ზეციურ საქართველოს გადარჩენას?

ეს წმინდა ნინოა, ქართველთა მოციქული, სიღნაღის კართან მოსული, აქ დავანება მოუსურვებია. დღეს კი ვის არ ნახავთ მის სამარესთან, თითქოს მთელი საქართველო მოსულა სალოცავად. მოწიწებით მუხლი მოუყრია.

საღამოთი მწუხრი გადაეფარებოდა ქალაქს. მიჩუმათებულ სიბნელეში ვიღაც მღეროდა სევდიანად „თავგატეხილას“ წყაროზე. მისი ჰანგები ექოსავით ეფინებოდა ალაზნის ველს და ოქროსფრად შეფერილ ზვრებს.

რა ტკბილი, ჯადოსნური ხმა იყო, თითქოს ქვებიც მღეროდნენ, ფოთლებიც, შორს, კავკასიონიც ბუბუნებს, ბანს ეუბნება.

ეს დიდი ვანოა, სარაჯიშვილი.

...მისთვის სიღნაღი განუმეორებელ სილამაზის ქალაქად დარჩა!

ახლა სიღნაღი მონატრებად იქცა!

...და მაინც, რა უღვთოდ უყვარდა ქალს სიღნაღი?!

ფერისცვალება

ნისლიანი დღეები ბურუსმა შეცვალა. წვრილად, უღონოდ ცრის. ყველგან შეაღწია სისველემ და სიცივემ. დარდით შეშლილი ქალაქი მიცვალებულს დაემსგავსა. ქუჩაში კანტიკუნტად გამოსულები კი უმძრახებივით დაიარებიან.

საღამოს, ნისლით გაბანგულ ქალაქს თითქოს მთქნარება დაეწყო, მოგვიანებით დაღლილს ძილიც მალე მოერია.

ნათლისღების დღე თენდებოდა.

დაღლილი ჩანდა ნაომარი ქალაქი. დაღვრემილი იყურებოდა გადამწვარი და ლაზათდაკარგული რუსთაველი. წინა დღის ცრიატს კიდევ უფრო ჩაემუქებინა ისედაც ჩანახშირებული შენობები, გამურულ-გადაჭვარტლული ხეები.

პირველი ფანტელები ნელა და ჩუმად ჩამოიპარა ქალაქში, მერე თანამოძმეები იხმეს და თანდათან დაეფინენ ყველაფერს, წვრილად, ოღონდ უსუსურად. თითქოს ცდილობდნენ ნატყვიარი ჭრილობა არ ეტკინათ ქალაქისათვის, მერე გათამამებული ერთბაშად წამოვიდა სპეტაკი ფანტელების ხომლი. თავდავიწყებით დაეშვა დაბლა ულამაზესი ფიფქები და ჰაეროვანი, თეთრი, სპეტაკი პატარძლის კაბით ნელ-ნელა შემოსა დედაქალაქი.

ორიოდე საათში ჯანსაღი ჰაერით სუნთქავდა მხრებაწურული თბილისი. თეთრი, მოკაშკაშე თოვლი თვალისმომჭრელად და სქლად იდო სახურავებზე, ხეებზე...

ჩამოთბა.

სიონიც გამოჩნდა. ტაძრის ხის საფეხურებს აუყვა. იქვე ძელსკამზე სამათხოვროდ ხელგაწვდილი ქალი იჯდა ბავშვით. ლტოლვილი დედა აფხაზეთზე, დაქცეულ სახლკარზე, დაღუპილ შინაურებზე მოთქვამდა, ლუკმაპურის ფულს თხოულობდა, ცრემლიან თვალებს იმშრალებდა და თან დამშეულ შვილს ეფერებოდა.

გაჩირაღდნებული დახვდა სიონი. სანთლებით ხელში ნელა გაიწია საკურთხეველისაკენ. საეკლესიო რიტუალმა, მგალობელთა ხმაშეწყობილმა სიმღერამ სულ დაავიწყა რამდენიმე თვის წინანდელი კოშმარები. დილანდელი განცდილი აქ ნეტარებად ექცა.

ზურგიდან მშვიდი, მომნუსხველი ხმა ჩაესმა.

– ქალბატონო!

თავი შეაბრუნა. მის წინ საშუალო ასაკის მშვენიერი ქალი ნუშისფერ თვალებს აფახულებდა.

– ნახეთ, დღეს რა მოხდა? ღმერთმა წყალობა გვიბოძა. ჩვენ განვიწმინდეთ! – შთამაგონებლად ჩურჩულებს ქალი.

რაღაც ღვთიურია მასში, ძალისმიერი. იქნებ „გამოცხადებაა?!“ არა, მის წინ ხორცშესხმული ქალია, თვინიერი, მორჩილი.

– მაშ, გადავრჩებით, არა? – ეჭვი შეეეპარა ხმაში.

– გადავრჩებით, ქალბატონო! აუცილებლად გადავრჩებით! – იმედიანი იყო პასუხი.

საოცარი ძალით დამუხტულმა დატოვა იქაურობა. მართლაც, რა გამოგონილ დღეს დაემსგავსა ყოველივე. იქნებ არის რაღაც, სიმბოლური ყველაფერ ამაში?

გარეთ გამოსულს ყველაფერი ესხვაფერა. ქალაქს თითქოს მართლა გასუფთავებოდა სხეული და ტანსაცმელი გადასცლოდა მთელი წარსული ავკაცობისა თუ უკეთური დიდების ჭუჭყიანი, ბოროტი ლაქები. ჰო, შეუკავებელი გულთბილობითა და ყმაწვილური დაუდევრობით ბრწყინავდა გასპეტაკებული. ახლა ბავშვის უმწიკვლო განცვიფრებითა და უდარდელობით იმზირებოდა... ფერშეცვლილ იყო მრავალჭირნახული თბილისი.

ოპრაგმანელი

ომარ ხაიამი

***

ისმენდე შენ, ვინც მოხუცი ხარ ან ახალგაზრდა:
სოფელი ესე არს სამყოფი წუთიერ მგზავრთა,
მარადიულად ეს საწუთრო აცოცხლებს არვის,
წამსვლელნი წავლენ, სხვანი მოვლენ ნაცვლად იმათთა.

***

საიქიოში სამოთხე და სიამე გელის, _
მითხრეს, – რძის, ღვინის ნაკადულებს
მოურწყავთ ველი,
ჰე, მერიქიფევ, ჯამით ღვინო მოიტა ჩქარა,
ღვინო ნაღდია, სამოთხე კი – ნისია ძველი!

***

იცოდე, რაც რამ გინახია – არაფერია,
რაც გითქვამს ანდა რაც გსმენია – არაფერია,
ქვეყნების ხილვაც ნუ გგონია შენ დიდი რამე,
ან თუ კუთხეში ზიხარ, ეგეც არაფერია!

***

სულ ერთი წვეთი წყალი იყო, მაგრამ ზღვად იქცა,
ნამცეცი იყო სულ მცირე და მიწად გარდიქცა,
მითხარ, რა არის ქვეყნად შენი მოსვლა
და წასვლა?
ბუზს ჰგავს გაფრენილს, ან ქოხს, ქარზე
რომ წამოიქცა.

***

აფსუსია, რომ სიჭაბუკის გაფრინდა ჟამი,
ახალგაზრდობის გაზაფხულის არ ისმის ჩქამიც,
ბედნიერება რომ ერქვა – ის ჩიტი სად არის?
როდის მოვიდა, ან სად გაქრა, ვითარცა წამი?...

***

ოდეს ბულბულმა, მთვრალმა ვარდით,
ბუჩქნარს რომ ება,
ბაღნარში ჰპოვა სასურველი მან თავის შვება,
მიხილა მისებრ მომღიმარს რომ მეჭირა ჯამი,
მითხრა: – დალიე, არ ბრუნდება უკან ცხოვრება!

***

გუშინ დუქანთან ჩავიარე, მე ვიყავ ერთი,
მოხუცს აევსო დოქი ღვინით და ედგა ფერხთით,
ვუთხარ: – მოხუცო, ნუთუ ღმერთის არ გეშინია?
მან მიპასუხა: – მო, დავლიოთ, არ გვიწყენს
ღმერთი!

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი სიფრაშვილმა

ციკლიდან: „და-ე-მაილ-ებული სამყარო“

* * *

ერთხელ დასჯილი უარით, ახლა ვისჯები
დუმილით,
დუმს ე-მაილ-ის ეთერი, დუმს
ტელეფონის ყურმილი!

მე მიყვარს ჩემი ოცნების უცვლელი
აქსესუარი,
შენი ამაყი დუმილი, შენი ამაყი უარი.

საკუთარ ფიქრით აგებულ შენს
ნაკრძალს ვესათუთები,
მე მიყვარს შენი დუმილით
გაგრძელებული წუთები.

ხშირად ჯობია დუმილი პასუხს,
დუმილზე უარესს,
სიტყვას – უსიტყვო ღიმილი (რომელსაც
ვერ მოვუარე)...

...დუმილს და ლოდინს დაჩვეულს
სათხოვარი მაქვს მცირედი:
დღესაც შენს დუმილს მოველი,
არ გამიწბილო იმედი!

„ფეისბუკში“ მოგზაურის დღიურიდან

„ელენე დარიანი წერს უბრალოდ
და აბნეულად“

შენს მონატრებით ისე გავერთე,
მხრებმა ვერ იგრძნო მზის სითაკარე ...
ოცნებას ცხადთან რა შეაერთებს,
ან ცხადს ოცნებას როგორ აკმარებ?!

ჩემთან ხარ თითქოს, მაგრამ არა ხარ....
და შენით შემკრთალ გულს და
საფეთქელს
ისე სწყურია შენი დანახვა,
რომ თანახმა ვარ, სივრცე აფეთქდეს!

მზე ზღვაზე ჯდება ღრუბლის ბალიშით
და ზღვისქვეშეთის მოვლის ზრახვებით,
მე კი მოცარტის მსუბუქ კლავიშით
ვივსები შენი წარმოსახვებით...

ხვალ კი ზღვა (მზესთან რომ მაქვს
საერთო)
კვლავ შემაგებებს ლურჯ სიანკარეს,
რომ მონატრებით ისე გავერთო,
მხრებმა ვერ იგრძნოს მზის სითაკარე.

* * *

მოურთავთ ველი ყოჩივარდებს და
თეთრ ენძელებს,
მე შენთვის დავკრეფ, შენი პოვნა
თუკი შევძელი,
ფიქრის თასს გრძნობის ღვინით ვავსებ,
იწყება თოვა,
ფიფქთა გვირილებს თმაში გაბნევ
და გადღეგრძელებ...

* * *

ჩემს ნებისყოფას, ვით ამ კედლებს,
უჩნდება ბზარი
და მოლოდინის ხავერდები კარგავს
სილბილეს ...
მაგრამ უეცრად, „მესინჯერის“
პატარა ზარით
ვხვდები, არ მომკლეს, მაგრამ
ისევ გამაციმბირეს ...

ბედობა დღის ხუმრობა

შარშან, ორში, ჩემი სტროფი
თავს სასწორზე რისკით დებდა,
შენ „სმაილი" მიახატე
და ღიმილი დამებედა!
წლეულს, ამ სტროფს გამოვატან
იმედს – ნატვრის მთავარ კრედოს,
ეგებ „გული" მიახატო,
სიყვარული დამებედოს!
გზა „გულამდე" „სმაილიდან"
დანაღმულა დინამიტად,
ასეთია „ფეისბუკით“
შენი ტრფობის დინამიკა!

მინაწერი:
გულს გაუგმირავს ფეისბუკს
ჩემი ვაება ბოლომდის,
თუ გადამიდებ ერთი წლით
„გულის სმაილის" მოლოდინს!

გვიანი მინაწერი:
და აღტაცებებს არ უჩანს ბოლო:
ღიმილს ღვთიური ახლავს არშია...
მე „ფეისბუკში“ გეტრფოდი მხოლოდ,
ახლა ფლირტს ვიწყებ „ინსტაგრამშიაც“!

* * *

„მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით
ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა, მქონდა იგი
თუ მომაგონდა...“

გალაკტიონი

უკვე მჯობნის ადვილად წლები...
ვეღარ ვიგონებ...
ხომ არსებობ ნამდვილად?! თუ...
მე გამოგიგონე?!
ჩემთვის ისე ცხადი ხარ, გრითმავ და
გასტრიქონებ...
მაინც ვეჭობ: ნაღდი ხარ, თუ...
მე გამოგიგონე?!
მაინც ნაღდი მგონიხარ, თუმც ვერ
გადაგეყარე...
თუ გამონაგონი ხარ, ასე რატომ
ვნეტარებ?!
ვცდილობ ნატვრის შენახვას (უკეთესს
რას ვიღონებ?!)...
ყოველ დილით, ხელახლა, ისევ
გამოგიგონებ!

ჩემთვის გამოგიგონებ!
ჩუმად გამოგიგონებ!

იულიუს კეისრის ომები პომპეუსელებთან ალექსანდრიაში, აღმოსავლეთსა და ესპანეთში

ვახტანგ ინაური

კეისარსა და პომპეუსს შორის ბრძოლა ვისი გამარჯვებითაც არ უნდა დამთავრებულიყო, ეს იყო რომისთვის მარცხი. ცნობილი ფაქტია, რომ სამოქალაქო ომი, შიდადაპირისპირებები ბევრად უფრო დამანგრეველია ქვეყნისთვის, ვიდრე გარეშე მტერთან ომი. ამ დროს ირღვევა პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები, ზარალდება ქვეყანა ფინანსურად, სუსტდება სამხედრო პოტენციალი.

იულიუსის გამარჯვება გარდაუვალი იყო, მას ბევრად ძლიერი, კარგად განწვრთნილი და დიდი არმია ჰყავდა, ვიდრე პომპეუსს. მან გალიასა და მთელ ევროპაში თავისი სუვერენიტეტი დაამყარა და თავი დაიზღვია პომპეუსთან ომის დროს უნდა, მას არც ის მოეწონა, რომ კეისარმა კლეოპატრა ძმასთან შეარიგა. შეთქმულებისას პოთინე მოკლეს, აქილა კი გაიქცა და დაიწყო ალექსანდრიის ომი, რომელიც 48-47 წლებში



მოხდა. კეისარს სამი ათასი ლეგიონერი და რვაასი მხედარი ჰყავდა. ალექსანდრიაში კი 300 000-ზე მეტი მარტო თავისუფალი ადამიანი ცხოვრობდა, ძალთა უპირატესობა ეგვიპტელთა მხარეს იყო. იგი ბევრად აღემატებოდა რომაელთა ჯარს. კეისარი იძულებული იყო ბრძლაში ჩაბმულიყო და დაეცვა თავისი თავი და რომაელი მეომრები. მას მოუწია ეგვიპტის ასეთ დიდ ქალაქსა და დიდ მხედრობას მცირერიცხოვანი ძალებით გამკლავებოდა. მისთვის „პირველი საფრთხე ის იყო, როცა წყალს კინაღამ მოწყვიტეს, საქმე ის იყო, რომ წყლის არხები მტერმა ჩახერგა. მეორე ხიფათი იყო მტრის განზრახვა, მისთვის ფლოტისაკენ მიმავალი გზა გადაეჭრა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, კეისარი იძულებული იყო, ცეცხლი გამოეყენებინა. ხანძარი ნავსაშენიდან გავრცელდა და უზარმაზარი ბიბლიოთეკა შთანთქა. მესამე საშიშროება ფაროსთან გაჩაღებული ბრძოლის დროს გადახდა კეისარს. აქ გამართული შეტაკებების ჟამს კეისარი პატნეზიდან პატარა ნავში ჩახტა და მის მხარეზე მებრძოლ მეომართა დასახმარებლად გაეშურა; მაგრამ მის ნავს ეგვიპტელები ყველა მხრიდან მიუახლოვდნენ, კეისარი ზღვაში გადახტა და დიდი ტანჯვითა და წვალებით ნაპირზე გავიდა. ამბობენ, ამ დროს შენიშვნების ჩასაწერი მრავალი წიგნაკი ეჭირა ცალ ხელში წყალზემოთ და ცალი ხელით მიცურავდაო“ (პლუტარქე,519).

ამასობაში ცეზარის დამხმარე ძალებიც მოვიდნენ და შეტევაზე გადავიდნენ, ნილოსის დელტაში მტერი გაანადგურეს. ამ ბრძოლას ბევრი ეგვიპტელის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო მეფე პტოლემაიოს დიონისე უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცეზარს ალექსანდრიაში მორჩილებით შეხვდნენ. მან მეფის უფლებები აღუდგინა კლეოპატრას, რომელსაც შემდეგ იულიუსისაგან ეყოლა შვილი ცეზარონი.

ალექსანდრიის ომის შედეგად დაზარალდა მაკედონელის მიერ დაარსებული და აშენებული ქალაქი, რომელიც მის სახელს ატარებს დღემდე. განადგურდა მაკედონელის დროინდელი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი. ამჯერად გადარჩა კუნძულ ფაროსზე, ასევე მაკედონელის მიერ აღმართული ალექსანდრიის შუქურა, რომელიც ძალიან მაღალ კოშკზე იყო აღმართული და ღამით გემებს გზას უჩვენებდა და უნათებდა. იგი ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებაში შედის.

ამ ბრძოლაში კვლავ გამოჩნდა კეისრის სამხედრო-სტრატეგიული ნიჭი, ტაქტიკური ხედვა, ბრძოლისუნარიანობა, პირადი სიმამაცე. მან ცხრა თვეში ეგვიპტე მოაწესრიგა და აღმოსავლეთისკენ გაეშურა. აღმოსავლეთში პომპეუსელთაგან გამოირჩეოდა ფარნაკე, პონტოს მეფის მითრიდატეს მოღალატე შვილი, რომელიც პომპეუსმა ბოსფორის მეფედ დააყენა. მან ისარგებლა ეგვიპტეში იულიუსის ბრძოლებით, შეიჭრა მამამისის ყოფილ სამეფოში, პონტოში და დაიკავა ამ სამეფოს წინანდელი სამეფო ქალაქი სინოპი. აიღო რომაელების ერთგული ქალაქი ამირი და მისი მცხოვრებლები მონებად აქცია. დაიპყრო აგრეთვე მცირე არმენია, თავს დაესხა კაბადოკიას. დაამარცხა ცეზარის ლეგატი დომინიუსი და მერე დაიკავა ბათვინია“ (წერეთელი,244).

ფაქტობრივად, ფარნაკე იკავებს ქართულ სამთავროებსა და ქართულ ტერიტორიას: პონტო, ამისი, კაბადოკია და სხვა. პომპეუსის წაქეზებით მოკლა ლეგენდარული პონტოს მეფე, თავისი მამა მითრიდატე.

სირიაში ცეზარმა როგორც კი ყველაფერი მოაგვარა, დაიძრა

ფარნაკათან საბრძოლველად. როგორც ყოველთვის, ის რეაგირებდა სწრაფად და ორგანიზებულად, ზუსტად ზომავდა და სწრაფად აანალიზებდა საბრძოლო სიტუაციებს, იგი თითქოს ომისთვის იყო დაბადებით მოვლენილი, ისე თანმიმდევრულად და გამარჯვების საჭიროებისამებრ მოქმედებდა. პონტოში ქალაქ ზელასთან მოხდა დიდი ბრძოლა. *„ბრძოლის დროს ცეზარმა წარმოსთქვა: „ნუთუ ეს მამისმკვლელი დაუყონებლივ არ მიიღებს თავის სასჯელსო?“ (წერეთელი,244).* იგი ცხენდაცხენ ეკვეთა ფარნაკეს და პირველი შეტევისთანავე გააქცია და ირონიულად წამოიძახა: *„ოი, ბედნიერო პომპეუსო! მაშ, ჩანს, იმისთვის გთვლიდნენ შენ დიდად და გიწოდეს დიდი, რომ შენ ამ კაცის მამის, მითრიდატეს დროს ასეთ ადამიანებს ებრძოდიო“.* ხოლო ფარნაკზე ასეთი სწრაფი და ანაზდეული გამარჯვება კეისარმა ამანციუსს, თავის მეგობარს სენატში, სამი ცნობილი ისტორიული სიტყვით აცნობა: „მივედი, ვნახე, დავამარცხე“, ლათინურად ამ ზმნებს ერთნაირი დაბოლოება აქვთ და დამაჯერებლად და სხარტად გამოითქმიან: „Veni, Vidi, Vici“ (პლუტარქე, 520).

კეისრის წინაშე დადგა საკითხი აფრიკაში თავმოყრილი პომპეუსის მომხრეთა მთავარი ძალების წინააღმდეგ გალაშქრება, ამ სამხედრო შენაერთებს მეთაურობდნენ ცეზარის დაუძინებელი მტრები: ლუციუს სციპიონი, ჰორციუს კატონი და ცეციღიუს მეტელიუსი. მათ ლიბიაში მრავალრიცხოვანი მხედრობა შეკრიბეს, აქვე იყვნენ: კეისრის მოღალატე ლეგატები ესპანეთში – პიტრეუსი, აფრინიუსი და ლაბიენი. პომპეუსის შვილები გნეუს უმცროსი და სექტუსი და მრავალი სხვა (წერეთელი, 248). ომის იდეური წარმმართველი იყო პორციუს კატონ უმცროსი და მთავარი მოკავშირე ნუმიდიის მეფე იუბა. ჰანიბალის ლაშქრობის დროს ნუმიდიელები მისი ერთ-ერთი მთავარი სამხედრო ძალა იყო, ახლა კი პომპეუსის მომხრეებს ეხმარებოდა.

„პომპეუსელებს აქ ცალკე ახალი სენატიც კი შეუქმნიათ სამასი წევრისაგან, რომელიც ქალაქ უტიკაში იკრიბებოდა. აფრიკაში პომპეუსელების განკარგულებაში იყო მნიშვნელოვანი ფლოტი, საკმაოდ დიდი არმია და ფართო სამხედრო მარაგი“ (წერეთელი, 248). ნათლად ჩანდა, რომ პომპეუსელები კვლავ რომის ხელმძღვანელებად მიიჩნევდნენ თავს და ქალაქის მართვის ორგანოებს ამიტომაც ინარჩუნებდნენ ნომინალურად მაინც.

კეისარმა მათ წინააღმდეგ 6 ლეგიონი ანუ 30 000 ქვეითი და 1000 მხედარი წაიყვანა და ზამთრის ბუნიობის დროს რომიდან სიცილიაში გადავიდა. როგორც სჩვეოდა, სწრაფად რეაგირებდა და შეყოვნების გარეშე მოქმედებდა. მისი პირადი ინიციატივა და ჩანაფიქრი ყოველთვის დადებით შედეგს იძლეოდა. ღამით მან 3000 ქვეითით და მცირერიცხოვანი მხედრობით გადაცურა ზღვა, დატოვა ისინი ნაპირზე და უკან დაბრუნდა ჯარის ძირითადი ნაწილის წასაყვანად, რომელიც მას გზაში შემოხვდა. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ კეისრის ჯარი გამოცდილი, ორგანიზებული, მონდომებული და მამაცი მეთაურებისა და მეომრებისაგან იყო დაკომპლექტებული.

ცეზარმა გაიგო, რომ მტერს წინასწარმეტყველების იმედი აქვსო, რომლის მიხედვით *„სციპიონთა გვარს ბედით უწერია ლიბიაზე მარადიული ბატონობაო“ (პლუტარქე, 521).* კეისარმა გაუქარწყლა ეს იმედი მოწინააღმდეგეს. მას ჰყავდა ჯარში სციპიონ სალუციანი, წარმოშობით აფრიკელთა გვარიდან, აბუჩად აგდებული ჯარისკაცი. მას კეისარი წინამებრძოლად აყენებდა და ავალებდა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას და მტერზე თავდასხმას. ამ ტაქტიკით იგი აბათილებდა პომპეუსელ სციპიონის რწმენას წინასწარმეტყველებისადმი და უკარგავდა ან უმცირებდა გამარჯვების იმედს.

იულიუსის მეომრებს არც პური ჰქონდათ საკმარისი და არც ცხენების საკვები. ცხენებს ზღვის ხავსს აჭმევდნენ. ამ მხრივ და, საერთო რაოდენობითაც, პომპეუსელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ამასთან, მათ ვერაგული პროვოკაცია მოუწყვეს კეისრის მხედრებს, რომელთა წინაშე ლიბიელი მუსიკოსი და მოცეკვავე განსაცვიფრებლად უკრავდა ფლეიტაზე და ცეკვავდა. მხედრები აღფრთოვანებულნი იყვნენ ლიბიელის ოსტატობით, თავიანთი ცხენები მონებს მიანდეს. უცებ კეისრის ცხენოსნებს გარს შემოერტყნენ, დაედევნენ ნუმიდიელები და მათთან ერთად ბანაკში შეიჭრნენ (პლუტარქე, 521).

აქაც გამოჩნდა კეისრის მუდმივი მზადყოფნა ბრძოლისათვის, მისი სიმამაცე და ძლიერი მებრძოლი ხასიათი, მან და აზიუს პოლიონმა შეაჩერეს მხედართა უკუქცევა და მოიგერიეს შეტევა.

აპიანე (100-180წწ.) ბერძენი ისტორიკოსი ამ შეტაკების შესახებ გადმოგვცემს: *„ცეზარს დაუპირისპირდნენ სციპიონის თანამემწეები ლაბიენი და პეტრეუსი (ცეზარის მოღალატეები) და მათზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს. გააქციეს მისი ჯარი და სდევნიდნენ მას სიამაყით და ათვალწუნებით, სანამ დაჭრილმა ცხენმა ლაბიენი არ გადმოაგდო; პეტრეუსმა კი იმ მოსაზრებით, რომ „ნუ წავართმევთ ჩვენს მხედართმთავარს სციპიონს გამარჯვებასო“, დაწყებული შეტევა აღარ განაგრძეს“ (წერეთელი, 248).*

ეს ცნობა ეწინააღმდეგება პლუტარქეს ცნობას, რომლის მიხედვითაც ორი ძლიერი რიცხობრივი უპირატესობით დარწმუნებული პომპეუსელთა შეტევა ცეზარმა თვითონ შეაჩერა თავის ბანაკთან, ხოლო მეორე თავდასხმის შედეგად *„უკუქცეულ მედროშეს კეისარმა კისერში სტაცა თურმე ხელი, მოწინააღმდეგისაკენ შეატრიალა და შესძახა: „აი, იქ არის მტერიო“ (პლუტარქე, 522).*

ეს მოქმედებით, რა თქმა უნდა, წააქეზებდა იულიუსი თავის მეომრებს და ცხადია, მათაც გაამხნევებდა კეისრის შეძახილი და კიდევ ის ფაქტი, რომ ის იდგა და არ გარბოდა შეშინებული, ჯარი უდავოდ შემობრუნდებოდა იმ რწმენით, რომ სადაც კეისარია, იქ გამარჯვებაა.

ბუნებრივია, ეს ორი შეტევა პომპეუსელთა მხრიდან მაინც წარმატებული იყო, რამაც გაამხნევა სციპიონი და თავის ძალებში დარწმუნებულმა გადაწყვიტა გენერალური ბრძოლისათვის მზადება, გაანაწილა აფრიანუსისა და იუბას მხედრობა და ცალცალკე, ერთმანეთისაგან მოშორებით დაბანაკა, თვითონ *„ტბის სანაპიროზე ქალაქ თაფსუსის მახლობლად კი საკუთარი ბანაკი დასცა, რომელიც ბრძოლის დროს მთელი მხედრობისათვის საყრდენი წერტილი და თავშესაფარი იქნებოდა“ (პლუტარქე, 522).*

კეისრის მახვილ თვალს, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა მტრის მოძრაობა, ამიტომ ნუმიდიის მეფე იუბა ჩამოიშორა გზიდან, ამ მიზნით „გამოიყენა მავრიტანიის მეფე ბოკსუსი, რომელმაც დაიკავა იუბას რეზიდენცია ციტირა, რამაც აიძულა იუბა, სასწრაფოდ გაბრუნებულიყო და სციპიონს მხოლოდ 30 სპილო დაუტოვა“ (წერეთელი, 248). ბუნებრივია, ამ მოვლენების შემდეგ ცეზარის ჯარი გამხნევდა და კვლავ დაუბრუნდა გაბედულება.

გაგრძელება გვ.11 ▶

ვერიკო პარნიკანაშვილი

***

შემოდგომა შეიწირა ქარმა
და მოზიდა ჯადოსნური მშვილდი,
ფოთლებს უდგათ
მოყვითალო გლოვა,
მაპატიე, რომ
ვერ გაგიფრთხილდი!
ქარი ფოთლებს
დაერია ურჩი,
წაუმღერა
პრელუდია ძველი,
დღე-ნაკლული
სიყვარული კვდება,
მომეხვიე,
არ გამიშვა ხელი!
ქარი დასდევს
შემოდგომის ფოთლებს,
ვერ ვუშველე
მოყვითალო გლოვას,
სათანადოდ შენც
ვერ გამიფრთხილდი,
ოცნებებიც,
ქარმა გაიყოლა!
შემოდგომამ
ვერ გაუძლო ქარებს,
ფოთლებს უდგათ
დიდი რია-რია,
ჩვენ, ერთმანეთს რომ
ვერ გავუფრთხილდით,
ქარს რას ვერჩით,
ქარის რა ბრალია!

***

შენ მოჰყევი გაზაფხულის წვიმას,
ალიონზე, აისი რომ ჰყვავის,
მოგეფერა მარტი მორცხვად მღიმარს
და მოგართვა სინარნარე ღამის.
შენ მოჰყევი გრიგალსა და ელვას
და გაფითრდა ოცნებები მუნჯი,
თან ჩამოგყვა ციდან მთვარის ხელა
ღმერთის ლოცვა და თვალები ლურჯი.
მოხვედი და მოიყოლე სითბო,
მზის სხივებთან სურნელება იის,
სულში სახლობ და არაფერს ითხოვ,
და იქ შენი სიყვარული ღვივის...

***

გულს უსასრულოდ სწყურიხარ,
ფიქრები გავინაპირე,
მოდი, მომწყვიტე, სადა ხარ,
ნუთუ მოსვლას არ აპირებ?
თასში ცრემლებად ჩავასხი
ღვინო, ვითარცა მირონი,
მერე მძივებად ავასხი
ფიქრები უნაპირონი.
ბუხარი ისვრის ნაპერწკლებს,
გავხდი თბილი და ენამზე,
რა ვქნა, უშენოდ ვერა ვძლებ,
არ ვიტყუები, ჩემმა მზემ!
ფიქრი კარივით მივხურე,
ნისლი ედება წამწამებს,
მინდა სულ შენ ერთს გიყურო _
თვალსაც კი არ ვახამხამებ!
ელვა აირბენს ცის კიბეს,
გაქრება ცრემლის უბეში,
ოცნება მივკიბ-მოვკიბე,
სად გძებნო, რომელ ღრუბელში?
წლები კი იალქანივით
გამქრალა, მე რა ვიცოდი,
შენსკენ მოვქროდი ქარივით
და ხმელ ხესავით ვიწვოდი,
აქ ვარ – მთის კალთა-მხარეზე,
რომ სიყვარულით გაგართო,
არა, ღვინოს არ დავეძებ_
მე უღვინოდაც დაგათრობ.
არც თავი არ მენანება,
ცრემლი კრთის თვალთა გუგებში
და მხოლოდ ღამის ზმანება
გახდა დღეს ჩემი ნუგეში...

***

გული ორად გაიყო,
ელვა ზეცას გაკაწრავს,
ვიცხოვრეო რაც იყო _
არასოდეს არა სთქვა.
გულმა თუ საგულეში
ყოფნა აღარ ინება,
მაშინ ნისლის ქულებში
სიცოცხლე არ იქნება.
ციდან ფთილა ღრუბლები
თუ არ აწვიმს ნარგიზებს,
თუ არ გესაუბრები,
თუ ეგ ხმა არ მაღვიძებს...
დილა თუ არ გათენდა
ალვის ხეთა შრიალით,
თუ არ ვიგრძენ შენს თმებთან
გემო ძველი ფიალის.
ყვავილების ჩურჩულის
ენა თუ არ გავიგე,
გულის ყველა კუნჭული
სიზმრად თუ არ წაიღე.
შენი ჩუმი ცრემლები
გულისთქმას თუ არ მესვრის,
ან ძახილი ტყემლების
ყურში თუ არ ჩამესმის...
თუ ვერ მივხვდი რას მვედრის
მზე, მინდორი, ხე, წყარო,
ჩავთვლი, ისე წავედი
ვერ გაჩუქე სამყარო!

ლეილა კოჭლამაზაშვილი

„შენ რომ წახვიდე“

შენ რომ წახვიდე: ვინ უნდა
მოიტანოს წყალი?
შენ რომ წახვიდე: ვინ უნდა
გასხლას ვენახში ვაზი?
შენ რომ წახვიდე: ვინ უნდა
შეწვას ცვრიანი მწვადი?
შენ რომ წახვიდე: ვინ გაგვიმზადოს
„ჩანახი“ და „ფლავი“?
შენ რომ წახვიდე: ვინ მოაცუროს
ნაპირთან ნავი?
შენ რომ წახვიდე: ვინ შეაკავოს
ზურგს უკან ქარი?
შენ რომ წახვიდე: ვინ შემოიტანს
ბაღის კიტრსა და მწვანილს?
და რომ წახვიდე: ვინ დახვდეს
შვილებს ღიმილიანი სახით.
და ბარე, ათჯერ ვინ იტყვის:
შვილებო, დარჩით, დარჩით!
და რომ წახვიდე, მაშინ ხომ
დაიკეტება კარი?
ამიტომ არსად გაგიშვებთ,
მტერს შეხვდე ფეხზე მდგარი,
დათრგუნე წასვლის ფიქრები,
იქნება ყველა მცდარი
შვილებიც იამაყებენ
მამა ჰყავთ ამაგდარი!


ნახ. ვ.დიაკონიძისა

ლალი სპანდერაშვილი

ბავშვობა

ჩემს ბავშვობას გავიხსენებ
რომ დავბრუნდე ზღაპარში,
იქ ლამაზი ფერებია,
და მზის სხივი ფრთებსა შლის,
ყვითელგულა ყვავილებით
ავსებულა მთა-ბარი,
ის ლაშქარა ყვავილები
ნეტავ ახლა სად არის.
მენატრება წყაროს წყალი,
წვიმაც ჩამოპარულა,
თუთის ხეზე ჩამობმული
საქანელას მარულა.
თანატოლი მეზობლების
მხიარული კისკისი,
ნეტავ რომელ გზას ადგიან,
სად წავიდნენ ვინ იცის...

მანანა ბეშკენაძე

უძილო ღამე

მოდი, უძილობავ, გვერდით დამიდექი,
ამბავს მოგიყვები რამეს,
როგორმე გავიდეს ეს აუტანელი,
გრძელი და უძილო ღამე.
გინდა, მოგიყვები, გულში რა ფიქრი მაქვს,
ან რატომ მაწვალებს სევდა,
იცი, მომენატრნენ აწ გარდაცვლილები _
ჩემი მამიკო და დედა...
გაგიმხელ, თუ რატომ არ მეშვება,
ფეხდაფეხ რატომ დამდევს დარდი,
ჩემი ბავშვობის სახლი მენატრება,
აქ კი მუდამ თოვს და ბარდნის,
იმასაც გეტყვი თუ ვინ მაწყენინა,
გულზე ვინ დამადგა ფეხი,
ოღონდ ეს ღრუბელი ქარმა გადაყაროს,
ოღონდ არ გავარდეს მეხი,
ახლა შენც გამანდე შენი საფიქრალი,
იქნებ მეც გიშველო რამე,
იქნებ შევძლოთ და ერთად
შევამოკლოთ
ეს გრძელი, გულგრილი ღამე.
რაღა დაგვრჩენია მე და შენ, უძილობავ,
ფიქრის და ლოდინის გარდა,
სანამ დღე თავისი ნატიფი თითებით
ღამეს არ ჩამოხსნის ფარდას...

კახეთი სამოთხეა

კოდი სამოთხის აქ ჩამოუშვა
გალაქტიკამ ნათელი სხივით,
ააელვარა ჰარმონიულად ველ-მინდვრები
ზღაპრულ ფერებში,
ხალხი ლომგული, ალალ სულის,
გულგაშლილნი აქ დაასახლა.
ერის სიმტკიცის კედლად ქცევა
ჩაუდუღაბათ რჩეულ გენებში,
თავზარდამცემნი ურდოთათვის, მოყვრის ერთგულნი,
დინჯი კახელნი,
იყვნენ, არიან, და იქნებიან წმინდა ნინოს
ძილის დარაჯნი,
სამშობლოს დოვლათს, თვისი გარჯის ნაყოფს
მუდამ მატებდნენ
ახოვანები, ზვიადები, უტეხები,
სულით ამაყნი.
მამა-პაპათა ადათების, წესების მცველნი
ომახიანად იმღერიან უბერებელ
„მრავალჟამიერს“,
თვალებში მუდამ სხივჩამდგარნი
მიჰყვებიან გზას წუთისოფლის,
ხვალაც და მარად გახარებულთ
ევლოთ ამიერ,
ერთ-ურთის ლხინის, ჭირის გაზიარება
უძველესი დროიდან ერგოთ,
ახლა კი შეგთხოვ:
ჩემი კახეთი დამილოცე,
უფალო – ღმერთო!

ნისლის ზღვა

გაზაფხულობით ალაზნის ველს
ხშირად ნისლის ზღვა ესტუმრება
ხოლმე და სიღნაღიდან ულამაზესი
სანახაობა იშლება.

ავტორი

კავკასიონსა და გომბორის ქედს შორის
ნისლის ზღვის ქაფქაფა ტალღები ღელავდნენ,
ალაზანს შესეული ჭირხლის ფიფქები კი
თეთრად აკინძულნი ხეებზე ელავდნენ...
ინათა, ლეკის მთიდან მზის დისკო ამობრწყინდა,
გათოშილ მიდამოს მოჰფინა სხივები.
ლამაზად ირწეოდნენ ნისლის ზღვის ტალღები,
ხის ტოტებს ამშვენებდა ყინულის მძივები.
მზემ სხივთა ისრებით ნისლი დაჯაბნა და
მთების ფერდობებზე აქა-იქ მიმოფანტა,
ბუჩქებში აჟღურტულდნენ ციცქნა ბეღურები,
სითბომ სიცივეზე იმძლავრა, გაიმარჯვა.
მაისის ცელქმა სიომ ველზე ჩაიქროლა,
ნაირფერად მოქარგა ბუნება ბრძენი,
აცეკვდა, ამღერდა ირგვლივ ყოველივე
აივსო სიყვარულით სიცოცხლის დღენი.

ქეთევან მამაიაშვილი

წვიმა

არა ჩერდება წვიმა,
მოდის ნაკადად, თქეშით,
მოაქვს რამდენი სევდა
ამ სველ აპრილის თვეში.
წვიმამ დაალბო მიწა,
ბუჩქი, ბალახის ღერი,
მე მცივა, მაგრამ მაინც
წვიმასთან ერთად ვმღერი.
მერე კი დათბა უცებ,
წვიმას თან მოჰყვა სითბო,
ვგრძნობ რომ ცად რაღაც ხდება,
თითქოს ცაც შველას ითხოვს,
გამხიარულდა მზეც და
ღიმილი სანთლად გაკრა,
სულ სხვა დღე დადგა უცებ,
ქარიც ქროდა და გაქრა.
ყველაფერს ახლავს ბოლო,
ცუდსაც და კარგსაც ერთად,
ცისარტყელა კი ციდან
გამოგვიგზავნა ღმერთმა.

მაია მირიანაშვილი

ქალი მაია

ჩემს სახელშია იაც, აიაც,
და უძველესი ტომის სათავეც,
მე ვარ ქალღმერთის ჩრდილიც, სეხნიაც
და დარახტული მერნის სადავეც!..

ჩემს ერსაც ჰყავდა გმირი მაია,
მზედ ანათებდა წყნეთის სანახებს,
იყო წმინდანიც, ქველი მაია,
სანთელს უნთებენ ტაძრის სავანეს...

ამ სიტყვის ფუძედ ღვთისა დარია,
სული რომ ნატრობს ყოველ ცისმარეს,
თუ დრომ და ჟამმა ხელი დარია
ყველა სეხნიას, მცინარს, ნეტარეს.

ხსოვნა არასდროს დაიბინდება
სახელ-წოდების ქალთ უწინარეს,
მიეგებება კრძალვით ყოველთვის,
შეავსებს მთვარეთ ცისარე-მარეს!...

მეც გულით ვხარობ, რომ ვარ მათგანი,
ამარტა-მძივის ქვა მოელვარე,
მით ვერ დამჯაბნი ავად მზირალო
ფატუმო რუხო, შავად მღელვარე!

ჰენრი ლონგრი

გაგრძ. დასაწყ. იხ. N10,11,12. 2022, N1,2,3.4,5,6,7. 2023

დუხობორები

სმბათისათვის რუსი კოლონისტები განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო. თუმცა, არა იმ უნარების გამოისობით, რითაც გუბერნატორი იწონებდა მათ, არამედ მათი აღმსარებლობის გამო. ეს ხალხიც მასავით რელიგიის გამო ჩავარდნილიყო დევნილობაში, და საეკლესიო შეზღუდვებისადმი სიძულვილით იმ რელიგიურ საძმოს ჰგავდა, რომლის წიაღშიც თავად გაიზარდა.

დუხობორცების ან დუხობორების ისტორია (მე ამ ბოლო დაბოლოებას უფრო მივეჩვიე და ასეცაა იმ სექტის სახელი, რომელსაც ეს მოსახლეები ეკუთვნიან) რუსეთის სახელმწიფო ეკლესიის იმ მონაკვეთს წარმოადგენს, რომელიც არც მთლად უგულვებელსაყოფია და არც გასაზვიადებელი. მათი წარმოშობა იდუმალებითაა მოცული; ერთი ცნობის თანახმად, ეს სწავლება პირველად 1740 წელს ჯარიდან ერთმა დათხოვნილმა ჯარისკაცმა გაავრცელა ხარკოვის გუბერნიაში.[1]

გრაფი ტოლსტოი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომელიც უფრო სარწმუნოდ ჩანს, რომ ვინც მათი რწმენის მარცვალი გაავრცელა, უცხოელი იყო, კვაკერი და ემიგრანტი რუსეთში.[2] არც მათ შეხედულებებსა და არც მათ სულიერ წყობას, რომელიც მათივე მრწამსის გამოხატულება იყო, მიზნად არ ჰქონია, რომ მათი თავდაპირველი გეზი შეემსუბუქებინა. ქვეყანაში, სადაც პოლიტიკის ყოველი აქტი ეკლესიის ინტერესებითაა გამსჭვალული, ისინი უარყოფდნენ ეკლესიის აუცილებლობას, თვით მის მიზანშეწონილობასაც კი.

იმ ხალხს შორის, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე მისჯაჭვოდა თავის ტაძრებს, სიწმინდეებსა თუ ხატებს, რელიგიური ცხოვრების ყველა მსგავს გარეგან საშუალებას, ისინი ამაოებად მიიჩნევდნენ. მათმა ულმობელმა ლოგიკამ ეკლესიის მკაცრი ფორმულები დაარღვია; და შეუპოვარმა გულმოდგინებამ, რითაც ეს სულით მებრძოლები საკუთარი სულისა და საზოგადოების წინააღმდეგ იბრძოდნენ, სახელმწიფოს მოთმინება ამოუწურა და აპათიაში ჩააგდო.

დუხობორებმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში განიცადეს დევნა და იმდენად სასტიკი გახდა მათ წინააღმდეგ დამოკიდებულება, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ისინი ტავრიდის გუბერნიაში, აზოვის ზღვის მიმდებარედ, დაასახლა. მაგრამ ალექსანდრე ის კაცი არ იყო, მათი არაკეთილმოსურნეების ხელში იარაღი რომ გამხდარიყო, რომელთა დაჟინებულ მოთხოვნებს მისი იმპერატორობის მხრიდან საყვედური მოჰყვა. ამ სექტის ხელმეორედ გასახლებაზე მოთხოვნები შევიდა; თუმცა, 1816 წლის უკაზის (ბრძანების) თანახმად, ასეთი მიგრაცია არ მოხდებოდა. იმავე ბრძანებაში დუხობურები დადებითად იყვნენ დახასიათებულნი იმ ადგილობრივ მმართველთა მიერ მიწოდებული საბუთების საფუძველზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ისინი ეხებოდა იმ აშკარად უსარგებლო ზომებს, რომლებიც უწინ მათ წინააღმდეგ გაეტარებინათ. აქვე, საქვეყნოდ იყო გაცხადებული, რომ ხელისუფლება არა თუ აღარ გაიმეორებდა მსგავს ქმედებებს, არამედ, პირიქით, იმპერატორის ნება იყო, რომ ყოველგვარი ზედმეტი შეზღუდვა გაეუქმებინათ და სექტანტების ნებისმიერი შევიწროება შეწყვიტათ. თუმცა გონიერი მმართველების ეს ჰუმანური, ბრძნული პოლიტიკა მის გვირგვინოსან მემკვიდრეებს აღარ გაუგრძელებიათ.

ნიკოლოზ I-მა ისინი ტრანსკავკასიის პროვინციებში განდევნა, სადაც დღემდე შევიწროებას განიცდიან. ძირითადი გადასახლება 1841-1845 წლებში მოხდა. მათ ადგილები ახალქალაქის სამხრეთით მდებარე უღიმღამო და შიშველ მიწებზე გამოუყვეს, საიდანაც ელიზაბეთპოლის გუბერნიასა და ახლად შემოერთებულ ყარსში გადავიდნენ. 1886 წლის აღწერის თანახმად მათმა რიცხოვნობამ მიმღებ ქვეყანაში 12 500 სულს მიაღწია.[3]

ფილოსოფოსების აზრით, დუხობორცები შეუბღალავ რელიგიას მისდევენ და ქრისტეს სწავლების არსს ერთგულებენ. თუმცა, ქრისტიანთა უმრავლესობისათვის, მათი დოქტრინა ერესია და მათი რელიგიური წესები დასაგმობი. ასეთი დამოკიდებულება ცრუ წარმოდგენებისა და ცილისწამებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი ხდება; და ცნობა, რომელიც ჩვენი მოხეტიალე მქადაგებლისაგან მივიღეთ, მსგავსი ხინჯით იყო შეფერილი. მის მიმართ სამართლიანობა მოითხოვს, გვახსოვდეს, რომ თავად მის მსახურებაზე უარი განაცხადეს იმათ, ვინც მასთან ერთად განუდგა მართლმადიდებელი ეკლესიის სიდიადეს; რომ, არც ვინმე ზარემბასა და არც ვინმე ელი სმიტს ეს უბრალო გლეხები დიდის ამბით არ მიეგებებოდნენ და თავიანთი სულიერი ცხოვრების გზის გაძღოლასა და მის ამაღლებას არ შესთხოვდნენ.

აღმოსავლელი კაცის წარმოსახვას შეესაძლოა ქრისტიანი მასწავლებლის ცრურწმენის ელფერი დაჰკრავდეს; თუმცა, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ის ჭორები, რომლებიც მან მათ შესახებ მოგვიყვა, ერთობ გავრცელებულია ადგილობრივ მოსახლეობაში. სმბათის თქმით, გლეხების რელიგია დიდი იდუმალებით იყო მოცული, მას კი იმდენი ცოდნა არ ჰქონდა, რომ იგი გაეფანტა და ხელაღებით მიაწერდნენ მათ წარმართულ ჩვეულებებს. იმასაც ამბობდნენ, რომ ნადირსა და ფრინველს სცემდნენ თაყვანს. მნიშვნელობა არა აქვს, ეთაყვანებოდნენ მათ თუ, უბრალოდ, სიმბოლოებად გამოსახავდნენ, ერთი რამ ნათელი იყო, რომ ისინი ასეთ ხატებს აკეთებდნენ და ჩვენც შეგვეძლო დაგვესკვნა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ის.

შემდეგ იგი მოგვიყვა ლუკერიას – ნახევრად ქალღმერთისა და ნახევრად დედოფლის ამბის მონაკვეთს.

5 სექტემბერი

აღმოსავლეთში კაცთა მოდგმა ჩვეულებრივ მოსაწყენი არსებაა, რომელსაც გარესამყაროს დიდებულების გამო ვერც კი შენიშნავდით, რომ არა ის საჭიროებები, რომელთა გაზიარება მასთან ერთად გიწევს და, რომელთაც ის საოცარი გულგრილობით იკმაყოფილებს. ამიტომაც იყო, რომ განსაკუთრებული მოლოდინით გავემართეთ ახალქალაქისკენ, დიდი პლატოს სამხრეთ კიდეზე მდებარე რუსული კოლონიების მოსანახულებლად.

ახალქალაქისა და გორელოვკის მთავარ დასახლებას შორის პირდაპირი მანძილი ჩვიდმეტი მილია. გზა, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდროპოლთან დამაკავშირებელი ფართო გზაა, ბილიკზე ცოტათი უკეთესია. ალაგ-ალაგ ეტლი უმოწყალოდ მიჯაყჯაყებს მიწაში ღრმად ჩამჯდარ ამოზნექილ ლოდებზე. სამხრეთიდან, დაახლოებით აღმოსავლეთის მიმართულებით, სამის ნახევარზე გავედით. სივრცის უკიდეგანობა და შიშველი მიწის აზვირთებული ზედაპირი ზღვას მოჰგავდა, მაგრამ ჰორიზონტი ახოვან მთათა რიგებად იკვეთებოდა, რომელნიც ზეგანს აკრავდა გარს. თეთრი და რუხი ღრუბლები მის მწვერვალებზე გარინდულიყო, ცის კაბადონი ლურჯად ელვარებდა, სუფთა ჰაერი კი მზით იყო გაჟღენთილი.

სამი საათისათვის მდინარე თავფარავნის ნაპირს მივაღწიეთ. პლატოს ზედაპირზე ზანტად, ლიცლიცით მიედინებოდა მდინარე. მეორე ნაპირას პატარა სომხური სოფელია, აქეთ ნაპირას კი – თათრების მცირე დასახლდება. ცოტა ხანს შევყოვნდით, ასე, რომ, შეგვეძლო გაგვერჩია ლანდშაფტის ის თავისებურებები, რომელიც უკვე დანახული გვქონდა აბულის მწვერვალიდან. ჩვენგან ხელმარცხნივ მორენებიან ბორცვებს შემოვუარეთ, რომლებიც აბულის მასივს აკრავს გარს. ეს ვრცელი მთა მათ უკან ამოიზიდა, რომელიც აღმოსავლეთით მდებარე სურათს ფარავდა.

ჩვენი შეფასებით, დაახლოებით რვა მილის მოშორებით, აღმოსავლეთიდან სამხრეთის და დასავლეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, მცირედ დამრეცი მთების რიგი გადაჭიმულიყო. ამის დადგენა შესაძლებელია იმ მთების განაპირა საზღვრებით, რომლებიც ჩილდირის ტბას აკრავს. სამხრეთ-დასავლეთით მთათა რიგში ბუნდოვნად გავარჩიეთ ნაპრალი – მტკვრის შორეული გასასვლელი. ჩვენგან მარჯვნივ ერთ დონეზე გადაჭიმული დაბლობია; და მის მიღმა, საკმაო მოშორებით – მაღალი ქედები, რომლებიც მტკვარს მარცხენა მხრიდან ესაზღვრება. ჩვენს უკან კი, მთებში გამავალი მეორე ნაპრალიდან, იგივე ღიობიდან, გრძელი, დაკბილული ქედია, რომელიც ჩრდილოეთის სასაზღვრო მთაგრეხილს ეკუთვნის და რომელიც განსაცვიფრებელ თავისებურებას სძენდა აბულიდან დანახულ სურათს. ეს, და მთათა დასავლეთის ჯაჭვი ჩანდა, რომ ყველაზე მაღალი უნდა ყოფილიყო, თუკი აბულის უახლოეს კონტურებს არ ჩავთვლით.

დანარჩენი საათ-ნახევარი იმ გზას მივუყვებოდით, რომელიც მანზარამდე მიდის და დაბლობის ყველაზე ნაყოფიერ ნაწილს ვკვეთდით. შავმიწა ნიადაგში მოხნული კვლების სიღრმე მოწმობდა, რომ მიწას გულდასმით ამუშავებდნენ; მარცვლეული უკვე მოეწიათ. ჩვენ ახლა უფრო აღმოსავლეთისაკენ მივიწევდით და შეგვეძლო მთის კონტურებში გასასვლელი შეგვემჩნია. ბორცვები ისევ თან გვდევდნენ. რამდენიმე მილის მოშორებით, მათ მიღმა კი, სამხრეთის მთათა რიგია, რომელსაც აბული მიეკუთვნება. მაგრამ ჩვენგან მარჯვნივ გადაშლილი სივრცეები დაბალმა, კლდოვანმა გორაკებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც ჩილდირის ტბის მხრიდან გვიახლოვდებოდნენ.

ეს დაბლობის ვიწრო გასასვლელი უნდა ყოფილიყო, რადგან, უფრო სამხრეთისაკენ ხედი კვლავ იშლება და, დაბლობი მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფის მიმართულებით, ყურის მსგავსად, ხელახლა ფართოვდება. ეს მოწმობდა, რომ საგრძნობ სიმაღლეებს ვუახლოვდებოდით, რადგანაც მარცვლეული, მართალია მწიფობაში შესული, ისევ ხარობდა. კაცებს მკა ჰქონდათ გაჩაღებული, ფერადი ტანისამოსით შემოსილ სომხებს საქმიანობაში ქალები ეხმარებოდნენ. მოშორებით, აღმოსავლეთის მთების ძირში, სოფელი დავინახეთ, რომელიც სომეხი კათოლიკეებით იყო დასახლებული.

გავრცელებული მარცვლეულის სახეობებია შვრია, რომლისგანაც პურს ამზადებენ და ფხიანი ხორბლის სახეობები. ხუთის ნახევრისათვის პირველ, საკმაოდ მოზრდილ სოფელს მივაღწიეთ, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, სინამდვილეში ორი სოფლისაგან შესდგებოდა და გზის ორთავე მხარეს მდებარეობდა. პირველის სახელია ხოჯაბეკი და სომხებითაა დასახლებული. სოფელში ორმოცდაათი კომლია ერთი ეკლესიით, თუმცა არ აქვს სკოლა.

→

---

1 მაქსიმოვი, ტრანსკავკასია, ციტირებული რადეს მიერ თავის ნაშრომში Petermann's Mitth., 1896, გვ. 145.

2 იხ. გრაფი ტოლსტოის ნაკვეთი და წერილი გაზეთში Times, 23 ოქტომბერი, 1895წ. მკითხველს ასევე ვურჩევდი წიგნს, რომელიც ამ თავის დაწერის შემდგომ გამოქვეყნდა სათაურით „ქრისტიანული მოწამეობა რუსეთში", ვლადიმირ ჩერტკოვის რედაქტორობით, ლონდონში, 1897 წელს.

3 ტოლსტოი (the Times, მითითებულ ადგილას) მიიჩნევს, რომ მათი ამჟამინდელი რიცხოვნობა 20 000-ია, თუმცა არ ვიცი რის საფუძველზე. ოფიციალური ციფრები, რომლებიც 1886 წლის სიებს ეყრდნობა, ამგვარია: თბილისის გუბერნია (ახალქალაქი და ბორჩალო) – 7263, ელიზაბეთპოლის გუბერნია - 2404, ყარსის გუბერნია - 2766, ერევნის გუბერნია - 15. სულ - 12 448.

მოგზაურობა საქართველოში

მეორე ბოგდანოვკაა, რუსული დასახლება, ოთხმოცი კომლით. იმ დასახლებათაგან პირველი, რომელთა ნახვასაც ვესწრაფოდით.[4] ამ ორ სოფელთან გადავკვეთეთ მდინარე, რომელიც, როგორც გვითხრეს, ხანჩალის ტბიდან გამოედინება და ამავე ტბის სახელს ატარებს.

მსგავსი ტიპის დასახლებებში ბოგდანოვკა რაიმე განსაკუთებული ნიშნით არ გამოირჩევა. მე ვერ შევნიშნე რაიმე საგრძნობი განსხვავება რუსულ და სომხურ სოფლებს შორის. ისიც შესაძლებელია, რომ მათ ერთმანეთზე იქონიეს გავლენა და, ისიც, არა რუსული დასახლების სასარგებლოდ: ორივეგან უთავბოლოდ აშენებული ქვის სახლები და ბელტებით დაფარული მოსწორებული სახურავებია, ჭუჭყიანი, ვიწრო ქუჩები, უსწორმასწორო ზედაპირით, რომლებიც მთავარ გზას უერთდებიან. და რამოდენა სხვაობაა ამ ორი რასის სიარულის მანერასა და პირისახეს შორის! ერთის მხრივ გრძელი, ელვარე, ნახშირივით შავი თვალები და მკვეთრი ნაკვთები, მკვირცხლი გამომეტყველებით; მეორეს მხრივ კი პატარა, მკრთალი თვალის გუგები და ერთიან და უშველებელ თავის ქალაზე უფორმო ნაკვთები. რუსი ქალების სიუშნოვემ კი განსაკუთრებით დაგვზაფრა. ამასთან გაგვაოცა კაცების ზანტი სიარულის მანერამ.

კონდრატ კარევის ოჯახი. 1900-იანი წლები . ს. გორელოვკა

უკან 18 ვერსტი (12 მილი) მოვიტოვის ღირსნი არიან იმისთვისაც, რასაც მათ აქ მიაღწიეს.

გორელოვკა. დუხობორები

ვეთ. ცხენების გამოცვლის შემდგომ მდინარის მეორე მხარეს ცოტა შემაღლებულ ალაგას მივაღწიეთ, საიდანაც შეგვეძლო ხანჩალის ტბის დანახვა, სადაც მოპირდაპირე ნაპირზე, შემაღლებული ადგილის ძირში, ერთი სოფელი მდებარეობდა. ნახევარ საათში ჩვენ უკვე პატარა ტბასთან და სოფელ ორლოვკასთან ვიყავით, რომელიც ერთგვარი უსწორმასწორო ადგილია, სადაც ყურადღებას იპყრობდა წივის – გამხმარი ნაკელის გროვები. ეს მეორე რუსული სოფელი იყო. იმედი გაგვიცრუვდა. შემდეგი სოფელი – ჩვენი მოგზაურობის მიზანი, გორელოვკა იყო.

ჩვენგან მარცხნივ მთათა რიგი კვლავ გრძელდებოდა; თუმცა, მარჯვენა მხარეს გორაკებმა იკლეს, რომლებიც მსუბუქმა ფერდებმა შეცვალეს. სახნავ-სათესი ნაკვეთები ჩვენს ზემოთ კალთებზე იყო შეფენილი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მინის დამუშავების მზარდ ტალღას ამ შორეულ, მიყრუებულ ადგილებშიც კი შემოეღწია. შევამჩნიეთ, რომ ნიადაგი უფრო და უფრო ტორფის შემცველი და ბოჭკოვანი ხდებოდა. ვიფიქრეთ, რომ ეს ნიადაგი კარგი იქნებოდა კარტოფილის კულტურისათვის, თუმცა, კარტოფილის არც ერთი ნაკვეთი არ შეგვინიშნავს. ეს ზეგნები კარგი საძოვრებია ზაფხულის განმავლობაში, გრძელი ზამთრის თვეებისათვის კი ნოყიერ ტკბილ თივას[5] იძლევა. ეს იყო უზარმაზარ ზეგანზე გადაჭიმული მწვანე ბორცვების პეიზაჟი. დაახლოებით 7000 ფუტის სიმაღლეს მივაღწიეთ. აი, ასეთია გორელოვკის გადაშიშვლებული გარემო. როცა შვიდის ნახევრისათვის იქაურობას მივაღწიეთ, სიცივე უკვე ჩვენს ძვალ-რბილში ატანდა.

შთაბეჭდილება, რომელიც ორი პატარა სოფლის ნახვამ მოახდინა, მსწრაფვლე გაფანტა ჩვენმა ახალმა გარემომ. მეტად კმაყოფილნი დავრჩით, როცა მივხვდით, რომ პოლკოვნიკ ტარასოვის კარგი წარმოდგენა საკმაოდ გამართლებული იყო მათ მიმართ. მართალია ეს სექტანტები რუსეთში გლეხობის საუკეთესო ნაწილია, მაგრამ არანაკლებ პატიმეორე ბოგდანოვკაა, რუსული დასახლება, ოთხმოცი კომლით. იმ დასახლებათაგან პირველი, რომელთა ნახვასაც ვესწრაფოდით.[4] ამ ორ სოფელთან გადავკვეთეთ მდინარე, რომელიც, როგორც გვითხრეს, ხანჩალის ტბიდან გამოედინება და ამავე ტბის სახელს ატარებს.

მსგავსი ტიპის დასახლებებში ბოგდანოვკა რაიმე განსაკუთებული ნიშნით არ გამოირჩევა. მე ვერ შევნიშნე რაიმე საგრძნობი განსხვავება რუსულ და სომხურ სოფლებს შორის. ისიც შესაძლებელია, რომ მათ ერთმანეთზე იქონიეს გავლენა და, ისიც, არა რუსული დასახლების სასარგებლოდ: ორივეგან უთავბოლოდ აშენებული ქვის სახლები და ბელტებით დაფარული მოსწორებული სახურავებია, ჭუჭყიანი, ვიწრო ქუჩები, უსწორმასწორო ზედაპირით, რომლებიც მთავარ გზას უერთდებიან. და რამოდენა სხვაობაა ამ ორი რასის სიარულის მანერასა და პირისახეს შორის! ერთის მხრივ გრძელი, ელვარე, ნახშირივით შავი თვალები და მკვეთრი ნაკვთები, მკვირცხლი გამომეტყველებით; მეორეს მხრივ კი პატარა, მკრთალი თვალის გუგები და ერთიან და უშველებელ თავის ქალაზე უფორმო ნაკვთები. რუსი ქალების სიუშნოვემ კი განსაკუთრებით დაგვზაფრა. ამასთან გაგვაოცა კაცების ზანტი სიარულის მანერამ.

კონდრატ კარევის ოჯახი. 1900-იანი წლები . ს. გორელოვკა

გორელოვკა. დუხობორები

გორელოვკა. დუხობორები

(დასაწყ. წინა ნომერში)

თუჩქეჯის ეიეჩ სამხრეთ საქართველოში ბოგო-ჯიჭეჯის ეოტაცეჯისა და ტუვეეჯით ვაჭროჯის ეესახლეჯ

ი.ს. ნეგიერიძის მოგონებიდან

ახლა ვილაპარაკო ჩემს დახსნაზედ აჭარიდგან, თუ რა უბედური ბედისწერა გარდახდა მამაჩემს თავზედ. მამაჩემმან შეჰკრიბა რავდენიმე თუმანი და მარტო ჩამოვიდა აჭარაში, ქედას, დასაგულვებელად ჩემდა და პავლესი, სადაც იყუნენ მოვაჭრენი არტანუჯელნი, შავშეთელნი და ბათუმელნი კათოლიკენი, რომელთაც გამოჰკითხავდა ჩემთჳს და პავლესთჳს. და იქ ქედას წესია პარასკევობა, რომ ყოველს პარასკევობით შეიკრიბებიან სოფლებიდამ სავაჭროთ. მაშინ მამაჩემმან იპოვნა იქ მოსულნი პავლეს პატრონი და ჩემი პატრონი აჭარლები. პირველად წავიდა პავლესთან და რადგანაც რომ პატარა იყო, იეფად დაიხსნა, მგონია ხუთექვს თუმნათ და ჩემს პატრონსაც მისცა ბეეთ რავდენიმე მანათი წინათ, რათა რომ არ წაეყვანა სტამბოლში გასასყიდად; პავლე დაიხსნა მაშინვე და მოიყვანა ახალციხეს; და რა რომ ჩემმან პატრონმან გულო აღამ განმიცხადა ორცვას და მითხრა: თუ მამაშენი ვნახე ქედას და გავურიგდი ოც თუმნათ და ბეეც ავიღე მისგანო. რასაკვირველია, დიაღ მიამა, მენუგეშა და გამეხარდა და იმ დღეებში მესიზმრებოდა ხოლმე, რომ ცაში ვფრინავდი და რადგანაც ვიცოდი ზეპირად ლოცვები და მახსოვდა, მივიდოდი ძველათგან დაშთენილს ნასაყდრევს ადგილს, ვლოცულობდი და პირს ჯვარს გამოვისახავდი და მრავალჯერ საცთურისაგანაც დავიხსნებოდი ხოლმე ჩემის ლოცვითა. მაგრამ ჩემს გათათრებაზე თუალი ჰქონდათ და მაგულიანებდნენ, რომ აღა შეიქმნებიო; მერმე რა რომ დააპირა იმან სტამბოლს წასვლა, იყიდა ორი სხვა გოგო და ერთი ბიჭი, გურიიდამ მოტაცებულნი, რომ ერთად უნდა წავეყვანეთ სტამბოლში. და გავიდა შუაში თითქმის ექუსი თვე. ბოლოს მამაჩემმან მოჰკრიფა ფულები და დედაჩემის წელის ვერცხლის ქამარიც დაუწინდა გირაოდ პატია მეფისოვს ფულში, რომ ძალიან იეფად მიუცია (ვინ დაეძებდა მაშინ სიეფეს და სიძვირესა გაჭირვების დროს), გამოართვა ათი თუმანი და დანარჩენიც ისესხა გირაოთ, იოსებისაგან სამი თუმანი. შეადგინა ოც თუმნამდის სულ თათრული ოქრო, მერე მოიტანა ერთი ხმიადი, გასჭრა შუაზე ორ ანუ ოთხ ნაჭრად, და ერთის ნაჭერიდამ გამოფხუნა გული და შიგ ჩასდვა ის ოცი თუმნის ოქროები და ხმიადის პირი კი ცომით გამოაცხო, წაახვია ერთს წყვილს წინდაში და ჩაიდვა ტომარაში. და რა რომ დააპირა წასასვლელად აჭარას, გამოუჩნდა მამაჩემს ერთი სხვა ამხანაგი, ახალციხელი ქართველი, სახელათ იმერლიშვილი ნონოჲ, რომელსაც ჰყვანდა აჭარაში ტყვეთ თავისი ცოლშვილი და იმისი უფროსი ვაჟი პეტრეჲ იყო ქედის ბეგის სახლში ტყვეთ და მეორები არ ვიცი, თუ სად იყვნენ. ეს ნონოჲ და მამაჩემი დამშობილდნენ და შეუდგნენ აჭარის გზას. მაშინ ნონოჲს ექმნებოდა ფულათ, როგორც გამიგონია მამაჩემისაგან, ოთხი, ხუთი თუმანი და ლაპარაკში დაატყო ნონომან, რომ მამაჩემს მიაქუს თანვე დასახსნელი ფული, შეუჯდა ეშმანი გულში, რათა როო რაამე ხერხიანობით მოჰპაროს მამაჩემს ის ფულები, დაიხსნას თავისი ცოლშვილი, და მამაჩემი კი დარჩეს დაუხსნელად. ერთს ღამესაც, რა რომ აჭარაში შევიდნენ, დაიძინეს ორთავემ ვისმე აჭარლის კარაპანში, და რადგანაც მამაჩემი სიარულით დაღალულიყო, თავისი ტომარა თავქვეშ დაიდვა, და ისე დაიძინა, ხოლო ნონოჲ ადგა ღამით ჩუმათ, გასჭრა დანით ტომარა ერთი ციდის ოდენა, გამოიღო ხმიადის ნაჭერი, რომელიც რომ ძმიმე იყო, მოიპარა. მაგრამ მამაჩემმან კი იმ ღამეს ვერაფერი შეიტყო. რა რომ გათენდა, ორნივე გაუდგნენ ერთად გზას, და მამაჩემი რომ მიდიოდა, როგორღაც ემსუბუქა მხარზე თავისი ტომარა, ჩამოიღო მხრიდან, დახედა რომ ტომრის გვერდი გაჭრილია ერთი ციდის ოდენა, რომ კაცის ხელი ადვილად შეიყოფა. გახსნა, ჩაჰყო ხელი, ეძება, დახედა რომ ის ხმიადის ნაჭერი აღარ იყო შიგ, მაშინვე თქვა: ვაი მე, ფული აღარ არისო! და სიმწრით პირის სახეზე ფერმა გადაჰკრა და ამბობდა: ახლა რა ვჰქნა, ჩვენს ორს გარდა სხვა არავინ ყოფილა ჩვენთანა, – და უთხრა თავის ამხანაგს ნონოს: უთუოდ შენ გამიჭერ ეს ჩემი ტომარა და შენ მომპარე ხმიადის ნაჭერი ოქროთი სავსე. ხოლო ის ეუბნებოდა მამაჩემს: სტეფანე! რას ამბობ, კარგად მოსძებნე, შენ საცოდავო, ეს რა დაგემართა, დაბრუნდი ისევ იქვე და იქ კარაპანში კარგად მოსძებნე, იქნებ სადმე დაგავიწყდაო.

ხოლო მამაჩემმან თავისის თავაქალობით დაუჯერა, დაუდევნელი და გაშტერებული დაბრუნდა უკანვე კარაპანში, რათა რომ ნონომ თავიდამ მოიცილოს მამაჩემი და მარჯვედ მოახერხოს დამალვა მოპარულის ოქროებისა. ჰძებნიდა გამწარებული მაგრამ რას[1] იპოვნიდა? ვერსად ვერაფერი ვერ იპოვნა. ხელმეორედ მოეწია ისევ ნონოს, ძალას ატანდა და ეუბნებოდა: ნონო! ნონო! ღმერთმან იცის ჭეშმარიტად, რომ ჩემი ფულები შენ მომპარე, ნუ შვრები ამ უსამართლობას, თვარემ ღმერთი გკითხავს და არ შეგარჩენს ამ ჩემს გამწარებასა და უბედურებაში ჩაგდებასა და ჩემის შვილის დასახსნელს ფულებსა, წუხელის ჩემგან მოპარულსა, არ შეგარჩენს ღმერთი, არ შეგარჩენს; ღმერთო, შენ კარგად უწყი, რომ ჩვენს ორსავე გარდა, სხვა არავინ იყო ჩვენთანა. ბოლოს ჩავიდნენ ქედას[2] და მამაჩემმან შესჩივლა თავისი უბედურება ქედის ბეგსა და სხვა აღა კაცებსა, ახალციხის თათრებსა, აჭარაშიდ მცხოვრებლებსა; და რადგანაც რომ მამაჩემი იყო თერძი (ანუ მკერვალი), ბეგის ხანუმმან[3] ფარჩების ტანისამოსი შეაკერვინა და სთხოვდა იმათ მამაჩემი, რომ უშუამდგომლონ მას რაჲმე ღონისძიებითა და ურჩია ბეგმანც, რომ წავიდეს ზემო აჭარას ფაშასთან და მოახსენოს თავისთავზედ შემთხვეული უბედურება. და რა რომ გამწარებული იყო, ვისმე შავშეთელის კათოლიკის დუქანში იწვა ღამით, იქ, ქედას, და ერთს ღამეს რომ ფიქრობდა, ძილში ფიქრმან აიტაცა მამაჩემი, და ბუხრის ოთახში შეძვრა და რომ გამოეღვიძა, კაცებმან გულისმოგებით ანუგეშეს მამაჩემი.

და იმ ხანებში ჩემმა აღამ აჭარელმან შეიტყო მამაჩემის ამბავი, და პარასკევობად წამოვიდა ქედას, და მეც თანვე წამომიყვანა და რომ ვნახე ქედას მამაჩემი თუალთცრემლოვანი და მწუხარე, რასაკვირველია, გული ამოგვიჯდა ორივეს და ვსტიროდით სიყვარულიანის ცრემლებით უხვად და უხვად დაღვრითა; მეტადრე რომ შევიტყვე ნონოსაგან ფულის მოპარვა და იმედ-გარდაწყვეტილება ჩემი არა სამუდამო, არამედ დროებითი, რადგანც რომ მამაჩემი კიდევ მშობლიურის სიყუარულითა მანუგეშებდა მე: ნუ სწუხარ, შვილო! ნუ სწუხარ, ღმერთი შემეწევა, დაგიხსნი, ხოლო მე ვითარცა ათი, თერთმეტის წლის ყმარწვილსა ვითარ განგება მექმებოდა და მშობლიური მზრუნველობაჲ, რამეთუ თითქმის დავიწყებულ მყვანდა დედამამა და სახლობა ჩემი უძჯრფასესი სამშობლო; ხელში მეჭირა ჯოხი ყმარწვილულად და მაზედ ვხადილობდი, მერმე გამოვესალმეთ ერთმანეთს და მე მოვედი ორცვას.

ხოლო იმერლიშვილმან ნონომ მამიჩემისაგან მოპარულის ფულითა გაირიგა თავისი საქმე, დაიხსნა სრულებით ცოლ-შვილი – თავისი ორის ვაჟებით და ბოლოს აღმოსჩნდა, რომ დახსნაში მისცა ნონომან თათრული ოქროები, რომ იყო ურუბია, ბაჯახლუ, მაჰმუდია[4] და ოციანები, რამეთუ ხანუმის გამოძიებითა ქედის ბეგმან შეიტყო ფარულად ნონოსაგან გამოჩენილი ოქროები და მოიყვანა თავისი ცოლ-შვილი ახალციხეს. ხოლო მამაჩემი დაუხსნელად მოვიდა ახალციხეს და სესხულობდა ამა-იმისაგან ფულებს, მაგრამ ვითარცა შემწეობასა მიიღებდა, ყოველნი გულ-მტკივნეულნი ანუგეშებდნენ მამაჩემს ცარიელის სიტყჳთა და ალერსითა. ბოლოს ურჩიეს, რათა აიღოს წერილი ახალციხის მღუდლის დიდ ტერ იოვანესაგან (რომელსაც ექახდნენ წითელწვერას) და წავიდეს ტფილისს პატრი უფროსთან ფილიპესთან მოსაკრეფად მოწყალებისა და გამოცხადდა ამ წერილით ტფილისის კათოლიკეთ მონასტერში, სადაც იყო მაშინ ტერ პოღოს შაჰყულიანი და შეძლებისაებრ ყოველმან გასცა მოწყალეობაჲ მზრუნველობითა პატრი ფილიპესითა, ვჰგონებ მოეკრიბოს ორ თუმნამდინ. მერმე მოვიდა ახალციხეს, როგორც იყო მოიშოვა ოცი თუმანი.

და ამ ხანებში ჩავიდა რუსის ჯარი ზემო აჭარას და გადასწვა სახლები ფაშისა და მოაოხრა იქაურობა და ცოტა ხნის მერმე რუსი ისევ უკან დაბრუნდა. ხოლო მამაჩემი რუსის ჯართან იყო თანვე წასული გზის საჩვენებლად და ერთი ბაჯაღლუ ეჩუქებინათ. და რა რომ ჯარი დაბრუნდა, მამაჩემი ჩავიდა ზემო აჭარის ფაშასთან და იმის ხანუმს ფარჩეულს, ტანისამოსებს უკერავდა და ხანუმის შებრალებითა ფაშამან გაგზავნა კაცი ქედის ბეგთან, რათა ამანაც გაგზავნოს თავისი კაცი ორცვას ჩემს გულო აღასთან (ჯონოღლისთან), რომ წამომიყვანოს მე ზემო აჭარას და თვითონაც გამოცხადდეს ფაშასთან დასახსნელად ტყვისა და მიიღოს ფულები.

და ქედის ბეგმან თავისი ხანუმის ტანთ შეესაკერავად ჩააყვანინა მამაჩემი ქედას, შეუკერა და რა რომ დაბრუნდა უკანვე ზემო აჭარას, გზაში ერთი აჭარელი დაუხდა მაცთურად, რომელიც უხერხებდა, რათა ჩაიგდოს მამაჩემი და გაძარცვოს, და ეუბნებოდა: მოდი, დავჯდეთ, ცოტა მოვისვენოთო, მაგრამ მამაჩემმან უთხრა: საჩქაროთ ფაშასთან მივდივარო, და თუ დამჯდარიყო გზაში იმ აჭარელთან, კიდევ რაჲმე უბედურება გადახდებოდა თავზე, ანუ მოჰკლავდა ანუ გასცარცვავდა, მაგრამ ღმერთმან დაიხსნა და მოვიდა მშვიდობით ფაშის სახლში ხანუმთან. ფარჩების ჭრაში მამაჩემს მაკრეტელი დაუჯლაგვდა და რავდენსაც ალესინებდა სხვას, ვეღარ გამართეს მაკრატელი ვერც სწორეთ გალესვითა და ვერც უკუღმა. ბოლოს წაუსვა ნემსით მაკრატლის პირსა და გაიმართა მჭრელად.

ამ ხანებში მოუვიდა ჩემს გულო აღას კაცი ორცვას ქედის ბეგისაგან: საჩქაროთ ჩამოიყვანე შენი ყმარწვილი და ჩამოდი ქედას. მეც წამომიყვანა და მოვედით ქედას, და რა რომ წყალს გამოვედით ხიდზე, გულო აღამ გაგზავნა კაცი სხვა ქედელ კაცთან მემიშ აღასთან, რომ მოვიდეს ხიდთან. მინამდისინ მოვიდოდა, ხიდის გამოღმა შევდეგით და მომაგონდა ლოცვა, გამოვისახე პირის ჯვარი და ვსთქვი ჩუმად გულში: „გიხაროდენ დედუფალო. მოწყალების დედაო“! და რა რომ დავასრულე ეს ლოცვა, ის მემიშ აღა მოვიდა, მოილაპარაკეს თავიანთში და როგორღაც ვერ რიგდებოდნენ; ეს ეუბნებოდა გულო აღას: შენ წაიყვანე ყმაწვილი და წადი ფაშასთან. ისიც ეუბნებოდა: შენ ჩაგაბრი და შენ წაიყვანე ფაშასთან და მიიღე ფასიო. მერმე შევედით ქედის ბეგის სახლში (პატარა ციხეში, ბურჯში) და ხანუმმან ჩარდახიდამ ერთი მოსაწონარი წითელი ვაშლი ჩამომიგდო, და რომ ვსჭამდი, გულშიდ ღუთისაგან მეცემოდა ნუგეში ნუგეშზედ, და ვიტყოდი: ოჰ ღმერთო! ის დღე მეღირსება ჩემი სახლობის ნახვა, და ჩემი სამშობლოს ქვეყანა. მერმე მოვედით ზემო აჭარას ფაშასთან, სადაც ვნახე მამაჩემი მკერვალი ხანუმის ტანისამოსისა. მის ხილვით ურვა და მწუხარება შემეცუალოდა შვებად და სიხარულად; და რა ჰსცნა მამაჩემმან უთანხმოებაჲ პირველს გარიგებულის ფასზედ, რამეთუ ჩემი მომყვანი მემიშ აღა ითხოვდა ფასსა ნამეტურსა და არა ჰსჯერდებოდა უწინდელზედ, და ვიდრე მორჩებოდა საკერავსა, მამაჩემთან ვიყავ; და პარასკევს დღეს, რა რომ დაასრულა ფაშამან სადილის ჭამა, რომ იყუნენ შეკრებილნი მასთან აღა კაცები, განსაკუთრებით ახალციხის თათრები, მამაჩემის ნაცნობნი, მოილაპარაკეს როცა თუ შესაწევნად ჩემს დასახსნელად. მერმე თხოვნითა და ვედრებითა, ხვეწნითა და მუდარებითა, გარდასწყვიტეს ოც თუმანზედ, გარდა წინათ მიღებულის ბეჲსა ანუ საწინდრისა. და რა რომ დაუთვალა მამაჩემმან ფულები, რომელიც ჰქონდა ტანზედ დაკერებული აქა იქ ოქროები, ცალ ცალკედ, აჭარლებს გაუკვირდათ, თუ საიდამ გამოაჩინა ესოდენი ოქროებიო და ამასობაში ერთი აჭარელი თავის დანბაჩას ჰმართავდა იმ ფაშის[5] ოთახში, სადაც მე და მამაჩემი ვიყავით, ჩახმახსა ქვას (კაჟს) უწყობდა და იყო გატენილი, და მართვაში ერთბაშად გაესროლა. ტყვია მოხვდა ოთახის ფიცრის კედელსა და გავიდა იქითა ნაპირს. რა რომ ფაშამ შეიტყო დაბანჩის ხმა, შეცვივდნენ აჭარლები და რომ უვნებელი იყო უეცრად გასროლაჲ, ფაშამან არ დასაჯა გამსროელი; და მოვრჩით იქ ყოველსავე უბედურებასა, შეწუხებასა და ვაებასა, და წამოვედით აჭარიდგან.

და რა, რომ მოვახლოვდით ახალციხეს, მამაჩემმან ცოტა ხანს ზურგზედ აღმიკიდა (რამეთუ მომაგონდა აქ სიტყუა იგი სახარებისა, სადაც თქმულ არს: „და ჰპოვოს რა (წარწყმედული ცხოვარი), დაისვას იგი მხართა თჳსთა ზედა სიხარულით და მორავიდეს იგი სახიდ თჳსსა, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა, და ჰრქვას მათ: ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ ვჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული, გეტყჳ ‘ თქუჷნ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა რა ოთხმეოცდა ათ ცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული“ (ლუკასი 15-5,6,7).

ნამდჳლად მაგალითი ესე აღსრულდა. რა რომ მოვახლოვდი ჩემს სახლთან, დედაჩემი თერეზინე, ორნივე ბაბუა ჩემები, იელისაბედ და ელენე, მოყურობა და მონათესაობა მეზობლებითურთ მომეგებებოდნენ და სიხარულისა ცრემლნი იღვრებოდნენ უხვად და მებრ სხვანი.

რა რომ მოვედი აჭარიდგან ახალციხეს მაისის თვეში 1829-სა წელსა, ჩემი ძმა მელქონაჲ დაბადებული იყო მაშინ და ხოლერობათ ივნისში 1847 წელსა, ღამით იწვა ჩვენს დუქანში, რამეთუ ჩემი ძმა პავლეჲ ხოლერით დაჭერილი და შეწუხებული იყო ჩვენს სახლში, და რა რომ ამან თავისის ნდობითა შესჭამა ერთი მკუხე სესელა6 მორჩენილიყო. და ამის სიმწარით მელქონაჲ იმ ღამეს გარედამ დაკეტილს დუქანში დარჩენილიყო და დუქნის გასაღებები სახლში იდვა. და იმ ღამეს იქვე მუცელში მოშლილიყო და რა რომ გააღეს დუქანი, და ამოვიდა მელქონაჲ სახლში, ფერმკრთალი ყოფილიყო შეშინებული ხოლერისაგან. თუმცაღა სისხლი აართვეს მკლავიდგან, მაგრამ ვერაფერი უშველა და მეორე დღეს გარდაცუალებულიყო. ღმერთმან აცხოვნოს კაჲ მშვიდი ყმარწვილი იყო, და მარხია დედა ჩემის საფლავთან ახლოს. ჩვენი მეზობელი ქოთათ ანტონაც, რომ იყო დალაქი (ბარბარი). იმ დღესვე გარდაცულილა და იქვე მარხია; ღმერთმან აცხოვნოს, ესეც ნებიერაშვილს იწერება. – დედაჩემი მარიამი და ამისი ჩასტანათ იოვანესას ქალი სარაჲ იყუნენ ტყვეთ ბათუმში და სტამბოლს, და კათოლიკე თინგირ ოღლის დაუხსნია აჭარლებისაგან, და მოვიდნენ ახალციხესვე. სარაჲ მიჰყვა აზრუმელს ექნატოს ოსკანოვს, რომ იყო მშვიდი კაცი. უბრალოდ გაუჩნდა ამის მარჯვენა ფეხის ცერის ფრჩხილში დუდკო, რამდენიც იწვალა, იმდენად უფრო გაუძალდა, მოალპა ცერი, მერმე ფეხშიც გაუჩნდა, გაუსივდა, დაუდუმდა, სტკიოდა და ეწვოდა საშინლად. ურჩიეს ფეხის მოჭრა, მუხლამდისინ მოსჭრეს. დასნეულდა და ციხის ლაზარეთში გარდაიცუალა. ღმერთმან აცხოვნოს, კარგი უწყინარი კაცი იყო, ოვანესაც ღმერთმან აცხოვნოს.

ამისთანა დუდკო დედაჩემსაც გაუჩნდა მარჯვენა ფეხის ცერის ფრჩხილში (სიარულში წამოეკიდა ფეხი შეშაზედ და ხვიწი შესობოდა. ყური ნაუგდო, ადრევე არ შეეცადა, სტკივოდა და ეწვოდა წელინადზე მეტი, წამლობითაც ვერაფერი ეშველა, გაუძალდა, და დოკტორმან ცერი მოსჭრა, გაუსივდა ფეხი, საზარდულში ბურთივით გაუჩნდა და ესეც თავისის სიმწარით გარდაიცუალა 1855-ს წელსა. ღმერთმან აცხოვნოს, ღმერთმან საუკუნო განსვენება დაუმკვიდროს დედაჩემის თერეზინას სულსა. ნეტამც იცოდეთ თუ რა ტკბილი დედა იყო, რა ოჯახისა და შვილების ერთგული შემვლელი, რა პატიოსანი, მშვიდი, წყნარი და უწყინარი – ამის სიკვდილის წინათ (სიცოცხლეშივე) ჩემი პირველი ვაჟი კონსტანტინე შვიდის თჳსა აიყვანა, მკლავზე დაჰკოცნა და ესურვილებოდა, – დედაჩემის დედა ელისაბედი (იეღსაფეთაჲ იყო ღუთის მოშიში დიაღ პატიოსანი დედაკაცი, საღმრთო წერილისა მცოდნე, ყოველს დილაობით მათქმევინებდა ხოლმე ლოცვებსა, რათა ზეპირად მცოდნოდა კარგად. ამას დიდხანს არ უცხადებდნენ თავისი ჩვილის ჯანათ პეტრეს სიკუდილსა, ზღვაშიდ დარჩობილსა, და რა რომ სხვა დედაკაცებისაგან შეიტყო, თუ ძუძუნას შვილები სიმონაჲ და ოჯანოჲ გათათრებულან, და ამათის ღალატობითა, ის თავიანთი სიძე პეტრეჲ ზღვაში გარდაუგდიათ, მაშინვე ელდის ქარმან შეიტაცა და რომ მოვიდა სახლში და ჩვენს დიდი ოთახის კარების ზღურბლში ფეხი გადაადგა, იქვე სიმწრით დაეცა, უძახდა თავის ქალს: თერეზინავ, მიშველე! ისიც მოვიდა, ააყენა ფეხზე, დახედა, რომ მარჯვენა მხარე ელდისაგან ენა, ხელი და ფეხი შეტაცებული ჰქონდა. და ბოლოს შეიტყეს მიზეზი, რომ გაუმჟღავნებიათ მისთჳს პეტრეს სიკვდილიო; და დიდხანს იყო ელდით დაცემული. – მე რომ თფილისის კათოლიკეთ შკოლაში ოსტატათ ვიყავ, იქიდგან გამოვუგზავნე ამას იელისაბედს ერთი ბაჯაღლუ, და, რა რომ მიიღო, სიხარულის ცრემლით მლოცვიდა მე და ამბობდა, თუ ჩემმა იონამ არ დამივინყა ამ ჩემის სიმწრის დღესაო.

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა „ბათუმი“, 1948 წელი

(გაგრძელება იქნება)

---

1 „რას“ ჩამატებულია

2 ჩამატებულია „ქედას„

3 ხანუმ - ქალბატონი

4 ურუბია, ბაჯაღლე (ბაჯაღლუ), მაჰმუდია (მაჰმუდიე) – მაშინდელი ოქროს ფულების სახელებია.

5 ჩამატებულია „ფაშის„

6 მსხალი უნდა იყოს

ქორწინების წესები ჯავახეთის სოფლების (ოკამი, ჩუნჩხა, ბოგაშენი, ბუნია) მაგალითზე

სამცხე-ჯავახეთში არსებული ქორწინების წეს-ჩვეულებანი საკმაოდ რთულ და საინტერესო რიტუალთა კომპლექსს წარმოადგენს. სტრუქტურა საქორწინო წეს-ჩვეულებებისა სამცხესა და ჯავახეთში თითქმის ერთნაირია, მაგრამ მაინც არის გარკვეული განსხვავება. თვით ჯავახეთის სოფლებში ჩაწერილი მასალა მსგავსია ყველგან. მთხრობელებმა შედარებით უკეთ იციან ეს წესები გოგაშენში. პტენაში დადასტურდა ქორწინების ბევრი ისეთი წესი, რომელიც დიდი ხანია მივიწყებულია და მხოლოდ საფონდო მასალებში თუ გვხვდება.

ჯავახეთში დაქორწინებისთვის სავალდებულო ნინა პირობად ითვლებოდა და დიდი ყურადღება ექცეოდა ნათესაურ ურთიერთობას. გარდა სისხლით ნათესაობისა, ყურადღება ექცეოდა სხვა სახის ნათესაობასაც, მაგალითად, ნათელ-მირონობას. ნათლიას დიდი პატივისცემით ექცეოდნენ როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთში, ნათლიობა კი ახლო ნათესაობად ითვლებოდა.

ჯავახეთში ქალ-ვაჟის დაქორწინება, უმეტეს შემთხვევაში, მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. თუ ქალი მშობლების ნებართვას არ დაემორჩილებოდა და ჩუმად თავის შეყვარებულ ვაჟს წაჰყვებოდა, ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა და მშობლები დიდხანს ქალს არ ურიგდებოდნენ და ხმას არ სცემდნენ. ეს თუმცა ძალიან იშვიათად ხდებოდა, მშობლების ნება-სურვილის წინააღმდეგ წასულ ქალს არც ვაჟის მშობლები არ დახვდებოდნენ კარგად.

ქალს შეარჩევდნენ ხოლმე დღეობებზე, ქორწილებში, გაიკითხავდნენ ოჯახს, მშობლებს, გვარის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ავადმყოფი ხომ არავინ არ ჰყავდათ ნათესაობაში ვინმე, ან მახინჯი.

ვაჟის მშობლები სოფელში სამაჭანკლოდ გამონახავდნენ „ენაპირიან“ კაცს. ჯავახეთში ადრე მაჭანკალს ელჩს უწოდებდნენ, მერე მოშუალს. მოშუალი აუცილებლად კაცი უნდა ყოფილიყო, მას უნდა გაეკითხა როგორც ვაჟის, ისე ქალისა ყველაფერი. ქალის მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟის სოფლის გეოგრაფიულ და სამეურნეო პირობებს, ჯავახეთიდან ქალს სამცხეში სიხარულით ათხოვებდნენ, სამცხიდან ჯავახეთში კი – პირიქით, რადგან ჯავახეთში ქალის შრომა მეტად მძიმე იყო და მინდვრის სამუშაოებითაც იყო დაკავებული. ჯავახეთის ქართული მოსახლეობის გვერდით ცხოვრობდნენ როგორც გამაჰმადიანებული მესხები, ისე თურქებიც, მაგრამ მათ შორის ქორწინების შემთხვევები არ ყოფილა, ან თუ იყო, ისიც, ძალიან იშვიათად. ქრისტიანი ქალი მხოლოდ ძალით მოტაცების შემთხვევაში თუ მოხვდებოდა მაჰმადიანურ ოჯახში. იყო შემთხვევები, როცა ქართველს შეურთავს მაჰმადიანი ქალი. სოფელ ოკამში მცხოვრებ მიქელაძე ეთერის გადმოცემით, ასეთ შემთხვევაში ქალს ქრისტიანად ნათლავდნენ.

მოშუალი თავისი საპატიო მისიის შესასრულებლად და საქმის წარმატებით გადასაწყვეტად რამდენჯერმე მიდიოდა ქალის მშობლებთან, აქებდა ვაჟს, მის ოჯახს და ცდილობდა, დაეთანხმებინა ისინი. თუ ქალის მშობლები უარზე იყვნენ, მოიმიზეზებდნენ – „ქალი ჯერ პატარაა და არ ვათხოვებთო.“ ან კიდევ, „დრო არა გვაქვსო“, „სასმელი არა გვაქვს“ და სხვა. მოშუალის პირველ მისვლაზე თანხმობას მაინც არ ეტყოდნენ გოგოს მშობლები. მოშუალს თუ სუფრას გაუშლიდნენ, ე.ი. ეს უკვე თანხმობის ნიშანი იყო. თუ ქალის მშობლები უარს იტყოდნენ, მოშუალი დიდხანს ხმას არ გასცემდა მათ, განაწყენდებოდა. მოშუალი პატივისცემით ცდილობდა საქმის გარიგებას და არა ფულის გულისთვის, მისი საჩუქარი იყო შინნაქსოვი წინდები, პერანგი და სხვა, რითაც მას ვაჟის მშობლები დააჸაჩუქრებდნენ.

მოშუალი თანხმობას – სიტყვას რომ გამოიტანდა ქალის მშობლებისგან, გახარებული შეატყობინებდა ვაჟის მშობლებს. ამის შემდეგ ვაჟის მხრიდან 2-3 კაცი მიდიოდა „ბეს“ გასაცვლელად. ვაჟი ამ რიტუალის შესრულების დროს უწინ არ მიჰყავდათ. ბეს წასაღებად 2-3 კაცი მიჰყავდათ. თვით ბეს რაოდენობა ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული, ხშირად მიჰქონდათ თავსაფარი. თუ ოჯახი შეძლებული იყო, ოქროს ბეჭედიც მიჰქონდათ. ბეს გასაცვლელად მიდიოდნენ მამაკაცები – ვაჟის მამა ან უფროსი ბიძა, უფროსი ძმა, მაჭანკალი. ქალის ოჯახში სუფრა გაიშლებოდა. ამ დროს შემოჰყავდათ საპატარძლო სიმღერით. ოჯახის წევრ ვაჟს თან შემოჰყვებოდა დამკითხავი ქალი. ჯერ ის ყველას ხელზე მოიკითხავდა, ამასვე იმეორებდა საპატარძლო. დამკითხავ ქალს ფულს აძლევდნენ. სუფრაზე გაცვლიდნენ ბეს. ვაჟის მამა თავსაფარს გაუცვლიდა ან ბეჭედს. თავის მხრივ, ქალის მამა ერთ წყვილ წინდას ან ცხვირსახოცს აჩუქებდა. პურის ჭამის დამთავრების შემდეგ მოსულ სტუმრებს ქალის ნათესავები წაიყვანდნენ ღამის გასათევად, სამამამთილოს კი საპატარძლო ფეხებს, თავს, დააბანინებდა, ლოგინს დაუფენდა და ვალდებული იყო მთელი ღამე მჯდარიყო მის სასთუმალთან, სანამ მამამთილი ნებას არ მისცემდა, გარეთ არ გავიდოდა. ბეს გაცვლის დროს გადაწყდებოდა ნიშნობის დღე, სხვა სამეურნეო საკითხები, კერძოდ, რამდენი კაცით უნდა მისულიყვნენ ნიშნობაზე, რამდენი საკლავი და სასმელი უნდა წამოეღოთ თან. სასმელი გათვალისწინებული იყო თითო კაცზე თითო ჩარექი არაყი. საპატარძლოს მამამთილი აძლევდა ე.წ. „გამოსალმების“ ფულს.

ნიშნობა

ჯავახეთში ნიშნობიდან ქორწილამდე არსებული პერიოდი რიგი წესების შესრულების აუცილებლობას გულისხმობდა და საქორწინო ურთიერთობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა.

დანიშვნის შემდეგ ქალი მშობლების სახლში იმყოფებოდა და უკვე ისე თავისუფლად სიარული აღარ შეეძლო აქეთ-იქით. ასევე ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდა.

ნიშნობაზე ვაჟის მხრიდან მიდიოდნენ მშობლები, ბიძები, ვაჟის უფროსი ძმა ან ნათლია. უწინ ამ რიტუალში მხოლოდ კაცები მონაწილეობდნენ, ქალის ნახვა არ შეიძლებოდა. ნიშნობაზე მიდიოდა 6-10 კაცი. თან მონიშნეებს მიჰქონდათ: ქალისთვის – საკაბეები, ოქროს ბეჭედი, თუ შესაძლებლობა მოიკითხავდა ყველას, მერე პატარძალს, ყველას ხელზე და მამამთილს თავზე დაადგებოდა, რომ მომსახურებოდა. სამამამთილო ფულით ასაჩუქრებდა ყველას, ვისაც შემოჰყავდა საპატარძლო.

იწყებოდა პურის ჭამა ოჯახის სადღეგრძელოთი, შემდეგ ნეფე-დედოფლის, მშობლების, დედმამიშვილების, მოპატიჟებული ნათესავების, განაყრების, მეზობლების, ბოლოს პურობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადღეგრძელოთი მთავრდებოდა. ითქმებოდა 12 სადღეგრძელო.

ნიშნობის დამთავრების შემდეგ საპატარძლო ვალდებული იყო ყველასათვის თავი დაებანა, პატივი ეცა, ისინიც ფულით ასაჩუქრებდნენ. ნიშნობაზე მოსული სტუმრები ფულს აძლევდნენ საპატარძლოს. ნიშნობაზე ვაჟის მხრიდან მოსული სტუმრები 2-3 დღით რჩებოდნენ, რადგან მათ ქალის ნათესავები გადაიპატიჟებდნენ ხოლმე, ეს დიდ პატივისცემად ითვლებოდა.

როდესაც ნიშნობის ხალხს აცილებდნენ, საპატარძლოს აძლევდნენ ე.წ. გამოსალმების ფულს, ის კი თავის მხრივ ასაჩუქრებდა ყველას თავისი დაქსოვილი წინდებით.

ნიშნობის შემდეგ ქალის ოჯახში ხდებოდა ე.წ. „ტანისამოსის დაჭრა“, საპატარძლოს დედა ან და, ნიშნობის მეორე ან მესამე დღეს, ქალ-რძალს დაპატიჟებდა, საკაბეს კი დედმამიანი ქალი გაჭრიდა და თან ილოცებოდა, იგი ამისთვის ფულს იღებდა. გაჭრიდნენ ქადა-ნამცხვარს, რომელიც ამ ბოლჩაში იყო. დაჭრილი საკაბეების ნაკუწებს გასათხოვარი ქალები ინანილებდნენ, შემდეგ აგროვებდნენ და სამზითვო ბოლჩას იკერავდნენ.

ნიშნობის შემდეგ ჯავახეთში სრულდებოდა წესი, რომელსაც „გადასაწყვეტს“ უწოდებდნენ. ე.ი. ქორწილამდე ერთი დღით ადრე სამამამთილო ჰქონდათ, ან სხვა სამკაული, ტკბილი ქადა-ნამცხვარი, ჰალვა, შაქარი, ინა (ჰინა). (ინით ქალები ხელისგულებს იღებავდნენ), მოჰქონდათ ლოგინის გადასაკრავი საბნის გული, ლეიბის პირი.

ქალის ოჯახი ემზადებოდა ნიშნობისთვის. სტუმრების მისვლის შემდეგ იწყებოდა პურის ჭამა. ამ დროს შემოჰყავდათ ჯერ დამკითხავი ქალი, ის ერთ ახლობელ კაცთან ერთად საკლავს და სასმელს გაუგზავნიდა ქალის მშობლებს ქორწილისთვის. ამას ეძახდნენ „ქესუბს“.

მზითვი

ნიშნობიდან ქორწილამდე არსებულ პერიოდში უნდა დამთავრებულიყო მზითვის მომზადებაც. ქალის მზითვში უნდა ყოფილიყო ერთი ან ორი ხელი მატყლის ლოგინი თავისი ბალიშებით, ფიჩვი, ხალიჩა, ჯეჯიმი, ჭილობი, სპილენძის ჭურჭელი, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი და სხვა წვრილმანი ნივთები. იყო შემთხვევა, პატარძალს მეწველ ძროხას ატანდნენ. ფულის და მინის გატანება ჯავახეთში მზითვად არ სცოდნიათ. იცოდნენ მოსავლის გატანება, სოფელ ჩუნჩხაში ერთ ბაღს „ძარია ბაღჩას“ ეძახიან, იმ ბაღის მოსავალი ქალისთვის გაუტანებიათ მზითვში. ნიშნობაზე ნაჩუქარი ფული ქალს მომავალ ოჯახში უნდა დაეხარჯა, ან ისეთი რამე ეყიდა, რომელიც მომავალ ოჯახს გამოადგებოდა.

ქორწილი

გადასაწყვეტზე ქორწილის დღის შეთანხმების შემდეგ იწყებოდა საქორწინო სამზადისი. დაიკვლებოდა საკლავი, ფურნეში გამოაცხობდნენ პურს და ქადებს, საჭმელებიდან აკეთებდნენ კორკოტს, ფლავს, ყაისაფარს, მოხარშულ ხორცს, ერბოკვერცხს (სუფრების დაძახების დროს), სახმარ არაყს. ქორწილში უნდა დაეპატიჟებინათ აუცილებლად ჯერ ისინი, ვინც ნიშნობაზე ჰყავდათ მოპატიჟებული. ვაჟის ოჯახში ხდებოდა წინასწარ განსაზღვრა მაყრების რაოდენობის. გაიმართებოდა ვახშამი და მაყრები ირჩევდნენ „მაყარბაშს“ – მაყრების თავს. ამ დროს დალაქი პარსავდა ყველა მაყარს წვერს, როცა ჯერი ნეფეზე მიდგებოდა, დალაქი გაჩერდებოდა და იტყოდა: სამართებელი არ ჭრისო. მაშინ მას ფულს აჩუქებდნენ და სამართებელი გაჭრიდა. ნათლიას ქორწილში ოჯახით პატიჟებდნენ. წასვლის წინ ნათლიას შეუკაზმავდნენ ხის ტოტებისაგან გაკეთებულ ჯვრის ფორმისას, რომელზეც ჩამოცმული იყო წითელი ვაშლები, შემკული ფერადი ბუმბულებით. ამ ჯვარს ჯავახეთში „შახს“ უწოდებდნენ. ჯვარს კაზმავდნენ ნეფის დები, მონვეული ქალები, ამ ჯვარში ნათლიას ფული უნდა გადაეხადა და ვალდებული იყო ქორწილის ბოლომდე დაეცვა.

მაყრიონი მეორე დილით ადრიანად წავიდოდა პატარძლის მოსაყვანად. მაყრიონი ცხენებზე იყო ამხედრებული. წინასწარ ამორჩეულ მახარობელს მისცემდნენ სამახარობლო ნიშანს – ქადას, რომელიც მას უბეში ექნებოდა, როცა მაყრიონი სოფელს ან სახლს მიუახლოვდებოდა, მას ხუმრობით სოფელში ქვებს, ზამთარში თოვლის გუნდებს დაუშენდნენ. მახარობელი ქალის ეზოში ცხენს შემოაჭენებდა და დაიძახებდა:

„მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
მოგვყავს მეფე ლამაზი,
დაგვილოცეთ დარბაზი“.

ქალის ოჯახში მახარობელს აუცილებლად სამახარობლო ნიშანს მოსთხოვდნენ. მახარობელი ქადას ამოიღებდა უბიდან და მასპინძელს მიაწოდებდა, შემდეგ იქ მყოფებს ყველას დალოცავდა, პატარა ფიალით არაყს დალევდა და მინას დაანარცხებდა: „ასე მტერი დაგეცალოთო“. მახარობელს მხარზე გადაჰკიდებდნენ პატარძლის დაქსოვილ წინდებს, მიართმევდნენ შამფურზე აგებულ მწვადს, რომელზეც ლავაში იყო. საპატარძლოს ეზოში გაიმართებოდა ცეკვა-თამაში და მაყრიონი შემოდიოდა საპატარძლოს ეზოში. სახლის კარს ამ დროს ჩაკეტავდნენ და სანამ ნათლია ფულს არ გადაიხდიდა, არ შეუშვებდნენ. შემდეგ სამამამთილო პატარძალს მოიკითხავდა და დაფა-ზურნით მიდიოდა პატარძლის გამოსაყვანად.

ქორწილის წინა საღამოს ქალის რომელიმე ნათესავი ან მეზობელი საპატარძლოს ქალ-რძალი

გაგრძელება მე-12 გვ. ▶

იულიუს კეისრის ოვაჯი პომპეუსელებთან აღმოსავლეთში, აღმოსავლეთისა და ესპანეთში

◀ დასაწყისი გვ. 6

იულიუსმა ისარგებლა მომენტით, როდესაც სციპიონი ჯარის გადაადგილებით იყო გართული და *„გასაოცარი სისწრაფით გაიარა ტყიანი ადგილები, გაუვალი ხეები და სციპიონის მხედრობის ერთ ნაწილს ალყა შემოარტყა, მეორეს კი პირდაპირ შეუტია„ (პლუტარქე, 522)*. ჯარის ასეთი გადაადგილება რეალურია რომაელთა ჯარისთვის მონაცემების მიხედვით, რომაელ ლეგიონერს 2 საათში 45 კილომეტრის გარბენა შეეძლო ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებით, დაღლისა და დასუსტების გარეშე. ამავე დროს, სირბილით თავდასხმა იყო მტრისთვის გამანადგურებელი.

46 წლის აგვისტოში იულიუსის ქვეითი ჯარი თაფსუსთან ლიბიაში თავს დაესხა სციპიონის ჯარს, რომელსაც ჯერ ბანაკი არ ჰქონდა დამთავრებული და გამაგრებული. მისმა მეომრება სტყორცნეს ჭურვები და დაფეთებულმა სპილოებმა გადათელეს თავისიანები, დაერივნენ სციპიონის მეომრებს. მათ ბანაკში განგაში და არეულობა შეიქმნა. პომპეუსელებს ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლოთ და იარაღი დაყარეს, მაგრამ კეისრის მეომრები გააფთრებით ხოცავდნენ მათ, დაუნდობლად სპობდნენ და არავის ზოგავდნენ.

კეისრის მეორე არმიამ იუბა გაანადგურა და ნუმიდიას დაეუფლა. იუბამ თავი მოიკლა. მან ისარგებლა სიტუაციით და ხელთ იგდო აფრანიუსის ბანაკი და იუბას მიერ მიტოვებული ბანაკიც. *„რამდენიმე საათში სამ ბანაკს დაეუფლა: ამასთან მტრის ორმოცდაათი ათასი მეომარი მოსპო, თვითონ კი მხოლოდ ორმოცდაათამდე კაცი დაკარგა„ (პლუტარქე, 522)*. უტიკის დაპატიმრებულმა სენატორებმა ზოგმა თავი მოიკლა, ზოგიც კეისარმა დაასჯევინა სიკვდილით. თავი მოიკლა კატონმაც, რომლის ცოცხლად შეპყრობა უნდოდა ცეზარს: *„ეჰ, კატონ, შურის თვალით შევცქერი შენს სიკვდილს, რამეთუ შენც შურით აღმიკვეთე შენთვის სიცოცხლის ჩუქების საშუალება!„ (პლუტარქე, 522)*. ცეზარის ეს ომი ისტორიაში აფრიკის ომის სახელწოდებითაა ცნობილი.

აფრიკაში მარცხის შემდეგ პომპეუსის შვილებმა ჯერ ბალეარის კუნძულები დაიკავეს, შემდეგ ესპანეთში გამაგრდნენ. მათ აფრიკაში გადარჩენილი ჯარების ნაწილიც შეუერთდა. შორეული ესპანეთის მმართველი განდევნეს, ლუზიტანებსა და კელტიბერებს დაუკავშირდნენ და მათგან ძლიერი არმია შექმნეს. მათ სრულიად ახალგაზრდებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს კეისრის უძლეველ საუკეთესო ლეგიონებს. ბრძოლა 45 წლის მარტში მოხდა მუნდასთან. კეისრის მეომრები გამეტებით ვერ იბრძოდნენ, იგი „თავის ჯარისკაცთა რიგებში შეიჭრა და ყვირილი მორთო: *„თუკი არაფრისა გრცხვენიათ, ბარემ ამიღეთ და იმ ლაწირაკ ბიჭებს გადამეცითო. ბოლოს და ბოლოს კეისარმა დიდი წვალების ფასად აოტა მტერი. მას ოცდაათი ათასზე მეტი კაცი შეუმუსრა, თვითონ კი ათასი საუკეთესო მებრძოლი დაკარგა„. „მე ხშირად შემხვედრია ბრძოლა გამარჯვებისთვის, დღეს კი ჩემი საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ვიბრძოდიო„* – უთხრა მან კარავში მეგობრებს *(პლუტარქე,524)*.

პომპეუსის შვილებიდან სექტუსი გაიქცა და შემდეგ მეკობრეობდა, ხოლო გნეუსი დაიღუპა. 45 წლის სექტემბერში კეისარი რომში დაბრუნდა დიდებით და მეხუთე ტრიუმფი გადაიხადა და ყველას თავისადმი ისეთი დიდება შთაუნერგა, რომელიც არავის არასოდეს ჰქონია, იგი სამუდამოდ აღიარეს დიქტატორად, რაც, ფაქტობრივად, ტირანია იყო.

სავალალო იყო რომისთვის ამ ომების შედეგი. პირველ რიგში აღსანიშნავია მოსახლეობის განახევრება, სამასი ათასიდან შემცირდა ასორმოცდაათი ათასამდე. იგულისხმება არა მხოლოდ ბრძოლებში დაღუპული მეომრები, არამედ ქალაქიდან ემიგრირებული მოსახლეობა. ომში ბრძოლის ველზე იმდენი არ იხოცება, რამდენიც ომის შედეგად შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირით (შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა და სხვა).

გარდა ამისა, უარესი ვითარება შეიქმნა პროვინციებში, რომელთა შესახებ პლუტარქე წერს: *„მათზე აღარაფერს ვამბობო„ (პლუტარქე, 524)*. რომში სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ კეისრის ავტორიტეტის მიუხედავად, დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა. ვერც მისმა დიქტატორად არჩევამ ვერ აქცია რომის ხელისუფლება ერთ მთლიან გუნდად. უკმაყოფლება კეისრისა და მისი გუნდის მიმართ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

◀ დასაწყისი გვ. 11

ეწვევა. იმართებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში. ამ წესს „ქალთა შეყრა“ ეწოდებოდა. როცა ქორწილის მაყრიონი მოვიდოდა საპატარძლოს წამოსაყვანად, ქალები მას წინ ეფარებოდნენ, თვალი არავინ შეასწროსო. სამამამთილო ფულს აჩუქებდა საპატარძლოს, ახლო მყოფ ქალებს და შემდეგ მოჰკიდებდა ხელს საპატარძლოს. ამ დროს საპატარძლო ეცდება წამოდგომას, სანამ მამამთილი ფეხსაცმელში ფულს არ ჩაუდებდა, არ ადგებოდა. გამოთხოვების დროს კი ფულს ჩუქნიდა იმ მასპინძელსაც, „ვინც მისი პატარძალი გააპატიოსნა“. პატარძლის გამოყვანის შემდეგ მამამთილი გასცემდა განკარგულებას, რომ მათი მოტანილი საპატარძლო კაბა ჩაეცმიათ. პატარძლის პერანგის გულისპირი ამოუჭრელი იყო და ვინც ამოჭრიდა, ფული უნდა მიეცათ.

ქოჯნინეების წესები ჯავახეთის სოფლების (ოკამი, ჩუნჩხა, პოცაშენი, პტენა) მაგალითზე

პატარძლის კაბა იყო თეთრი, ჩიხტიკოპით, სარტყელით და გულისპირით. საპატარძლოს ჩაცმის შემდეგ მამამთილი გამოიყვანდა და ჩააბარებდა ნეფეს. ამ დროს უნდა ემარჯვნა მეფეს და ფეხი დაედგა პატარძლისთვის, რომ „ცხოვრებაში მისი სიტყვა იქნებოდა პირველი“. შემდეგ მაყრიონი ნეფე-პატარძალთან ერთად მიდიოდა ეკლესიაში ჯვრის დასაწერად. მღვდელს უკვე მომზადებული ჰქონდა საყდარი და ელოდებოდა მექორწინეებს. ჯვრისწერამდე პატარძალი გაენდობოდა მღვდელს, რომ მას არავითარი ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი, ამ წესს „განდობას“ უწოდებდნენ.

ჯვრისწერის შემდეგ ჯვარდანერილი ნეფე-პატარძალი სხვა სტუმრებთან ერთად ბრუნდებოდა ოჯახში. საპატარძლოს დედა წინ გამოეგებებოდა ნეფე-პატარძალს სუფრით ხელში, სადაც დაწყობილი იყო ტკბილეული, სასმელი, მიულოცავდა ბედნიერებას და მიაგებებდა სუფრას ახალგაზრდებს. პატარძალს ამ სუფრიდან სამი ნატეხი შაქარი უნდა აეღო, მომავალ ოჯახში წაეღო და წყალში უნდა ჩაეგდო. საპატარძლო ამით ოჯახში სიტკბოს შეიტანდა. სახლში შეყვანის შემდეგ ნეფე-პატარძალს დასვამდნენ ე.წ. „აჯლაზე“. აჯლა მომზადებული იყო ნეფე-პატარძლისთვის, ტახტზე, ზედ გადაფარებული ფიჩვით, უკან კედელზე კი ხალიჩა იყო გაკრული. ახლად შემოსულ მაყრიონს აჯლაზე დანოლილი ბავშვები ხვდებოდნენ და როცა ნათლია ფულს ჩაუდებდა ხელში, ადგებოდნენ.

ქალის ქორწილში რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ იცოდნენ ე.წ. „სანიჭარის“ დაძახება (ნეფე-დედოფლის საჩუქარი). საჩუქრებს აძახებდა სპეციალურად ამორჩეული ენამახვილი კაცი. ქორწილში მიწვეულ სტუმრებს, ქალის ახლო ნათესავებს, მოჰქონდათ ტაბლაზე განყობილი საჭმელ-სასმელი, ტკბილეული, საჩუქრები. ყველაზე მდიდრული იყო პატარძლის დედის და ნათლიის სუფრები. სიდედრის სუფრაზე ყველასაგან განსხვავებით იყო ნეფისათვის ერთი ხელი საცვალი. ქალის ოჯახში სანიჭარი მზითვის დაძახებით იწყებოდა. კიდობანზე ქალის ძმა დაჯდებოდა და სანამ ფულს არ მისცემდნენ, არ ადგებოდა.

ქორწილი მიდიოდა ყველა წესის დაცვით. ითქმებოდა 12 სადღეგრძელო, მღეროდნენ მრავალჟამიერს, ცეკვავდნენ ლეკურს, ბაღდადურს, ძიმურს (ნელი ცეკვა), შამილს (ასეთი ცეკვა იყო).

მშობლების სადღეგრძელოს დროს სიდედრი ჭიქაში ოქროს ბეჭედს ჩააგდებდა და სიძეს გაუგზავნიდა, ისიც არაყს დალევდა, შიგ ფულს ჩადებდა და ისე უბრუნებდა. ქორწილის დამთავრების შემდეგ ნეფე-პატარძალი გამოჰყავდათ გარეთ, პატარძალი ცრემლმორეული დაემშვიდობებოდა ყველას, დედა კი მხოლოდ ზღურბლამდე მიაცილებდა. თუ მაყრიონი შორი სოფლიდან იყო, იმ ღამეს იქ რჩებოდა.

ასევე ქალის მხრიდან შეირჩეოდა მაყრები, მახარომელი და ვაჟის სახლში მისვლამდე თითქმის იგივე წესით სრულდებოდა მახარობლის მიერ. ვაჟის სოფელთან მიახლოებისთანავე მეცხვარე ფარას გამოაგებებდა, რომ დედოფალს ერკემალი უნდა აეწია ცხენიდან. თუ შეძლებდა, მისი იყო, თუ არა და მწყემსს ფულით ასაჩუქრებდნენ. მექორწილეებს საჭიდაოდ იწვევდნენ, ასევე ცხენოსნობაში, სროლაში. გამოაგებებდნენ სოფელში გაშლილ სუფრებს, გამოიყვანდნენ ასევე ხარებს. ხარის პატრონისთვის ფული უნდა მიეცათ.

ნეფის ეზოში ელოდებოდნენ მაყრიონს. აქ ჩაბმული იყო ფერხული, დედოფალს ცხენიდან დიდ საარაყე გადმობრუნებულ ქვაბზე გადმოსვამდნენ, მერე ხანჯლების ქვეშ გაატარებდნენ ნეფე-პატარძალს. მათ ნეფის დედა სუფრით, ანთებული სანთლებით, გამოეგებებოდა, პატარძალს თაფლით და ერბოთი სავსე ქილების გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ. ქილებზე სანთლები იყო ანთებული. დედოფლის მაყრები კი ქილებში ხანჯალს ამოუსვამდნენ ხოლმე. ნეფე-დედოფალს დასვამდნენ აჯლაზე და კალთაში პატარა გოგო-ბიჭებს ჩაუგორებდნენ. პატარძალი თავის მხრივ მათ ასაჩუქრებდა თავისი მოქსოვილი წინდებით და ქუდებით.

ვაჟის ქორწილშიც იცოდნენ სუფრების დაძახება. მღეროდნენ მრავალჟამიერს, ცეკვავდნენ ლეკურს, ბაღდადურს, ძიმურს. ბოლოს იცოდნენ შვიდი წყვილი ფერხული. ფერხულში ჩაებმება შვიდი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, მათ ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ.

უწინ ჯავახეთში ქორწილებში თამაშობები სცოდნიათ. თამაშობდნენ ლახტს, ატოცას (ლალოინს ეძახდნენ ჭობარეთსა და მუსხში), ბერიკებსაც შემოსავდნენ ხოლმე. იყო შეჯიბრებანი. იცოდნენ მაყრების ფეხით ჩამოკიდება, სანამ ქრთამს არ მიიღებდნენ, ისე არ გაუშვებდნენ.

ქორწილის მესამე დღეს იყო ეს სანახაობანი, ე.წ. „ნეფის განადირება“. ნეფეს ცხვირწინ ქათმებს აუფრენდნენ და უნდა დაეჭირა. მესამე დღეს ნეფე-დედოფალს გვირგვინებს მოხდიდა ნათლია და ნეფე-დედოფალს „ნეფის ძველას“ და დედოფალს – „დედოფლის ძველას“ ეძახდნენ.

ნეფე-პატარძალს ლოგინს დედმამიანი ქალი უშლიდა, დილით კი ნეფე ლოგინში ფულს უტოვებდა ლოგინის ამლაგებელს.

ახალი პატარძალი ქორწილის შემდეგ სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა სანამ ნათლია ფეხს არ ახსნიდა. დიდხანს ეუნძრახებოდა მამამთილს, დედამთილს. მათთან დალაპარაკება სირცხვილი იყო. პატარძალს ფეხს ახსნიდა ნათლია, იგი მოვიდოდა ძღვენით და გადაიპატიჟებდა ახალგაზრდებს. თვითონ ნათლია დიდი პატივისცემით სარგებლობდა სამცხე-ჯავახეთში. 40 დღის შემდეგ ხდებოდა ფეხის ბრუნება ქალის მშობლებთან. ქალი მშობლებთან რჩებოდა ცოტა ხნით, ვაჟი კი ბრუნდებოდა. ქალს აუცილებლად დედის სახლში უნდა ემშობიარა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეძახდნენ „ქალოს“ და „კაცოს“, დედამთილს და მამამთილს – დედა-მამას, უფროს მაზლს – ბატონიშვილოს, უმცროს მაზლს – ვარდოს, უფროსი მაზლის ცოლს – ქალბატონოს, უმცროსი მაზლის ცოლს – ქალოს, შვილოს.

მთქმელები:
რეგეკა ივანეს ასული ხუციშვილი, 65 წლის, ეთერი სერგოს ასული მიქელაძე, 50 წლის, სოფელი ოკამი;
ვახტანგ დიმიტრის ძე ბერიძე, 72 წლის, შაქრო ივანეს ძე ნათენაძე, 67 წლის, სოფელი გოგაშენი;
სონია ვლადიმერის ასული ზედგინიძე, 80 წლის, სოფიო იაკობის ასული სესაძე, 67 წლის, სოფელი ჩუნჩხა;
შიო ესტატეს ძე გვარამაძე, 67 წლის და გიორგი ევგენის ძე მელიქიძე 58 წლის, სოფელი პტენა.

ჩაწერილია 1989 წლის 11/07-27/07
ცირა მესხიშვილის მიერ
ახალქალაქის რაიონში.

„ლექსო, არ დაიკარგები!“

მნარე სიმართლე

რაც მაწუხებს იმას ვამბობ, ხმამაღლა,
საწუხარი დაგვიგროვდა მრავალი,
დაიკარგა სითბო, ნდობა, ერთობა,
საკუთარი ჯიბე გახდა მთავარი.

ერთმანეთის გასაჭირი გვახარებს,
სიძულვილმა დაგვიბრმავა თვალები,
სანატრელი გახდა სიტყვა „კეთილი“,
მის მაგივრად მოგვდის გესლის ღვარები.

გაუცხოვდა მოყვასისთვის მოყვასი,
დაიკარგა გრძნობა სიბრალულისა,
გაფერმკრთალდა ჩვენი სულიერება
და სიხარბე დაგვერია ფულისა.

უსასრულოდ ვლანძღავთ ერთიმეორეს,
გაავებულ, აღვირახსნილ ენითა,
სული დაგვიავადმყოფდა ქართველებს,
ათასგვარი უზნეობის სმენითა.

გაგვიაფდა ფასეული ყოველი,
იკარგება კაცობა და ქალობა,
მთავარია ყოვლის მონანიება
და უფლისგან შენდობა და წყალობა.

დღეს გვჭირდება ერთმანეთის იმედი,
გაღვივება ჩამქრალ სიყვარულისა,
ძველებურად წიგნთან დამეგობრება
და გრძნობების გამდიდრება სულისა!

კაცუნები

კაცუნები კაცობას ვერ სწვდებიან,
თუმცა ზოგჯერ სათავეშიც ხვდებიან,
უსირცხვილოდ პირველ სკამზეც ჯდებიან,
მაგრამ მაინც კაცუნებად რჩებიან.

ტელეარხზეც ხომ ყოველდღე ჩნდებიან,
ტრიბუნაზე თავდაყირაც დგებიან,
ყველა ხერხით ყველა ხვრელში ძვრებიან,
მაგრამ მაინც კაცუნებად რჩებიან.

ფორმალურად კაცებს ებაძებიან
და ხანდახან ხალხის გულშიც ჯდებიან,
სკამებისთვის რაღას აღარ შვრებიან,
მაგრამ მაინც კაცუნებად რჩებიან.

თუ კაცები ხალხში გამოჩნდებიან,
კაცუნები სოროებში ძვრებიან,
თუ ისინი ხალხში აღარ ჩნდებიან,
კაცუნები მაშინ იქაჩებიან.

კაცუნები ავი საქმით ტკბებიან,
როცა გასდით ყველა საზღვარს სცდებიან,
თუ დროზე არ მიუჩინეთ ადგილი,
უეჭველად თავზე დაგვაჯდებიან.

კაცუნები კაცუნებად კვდებიან!

ავტორ-მთქმელი **ზაურ ჯვარიძე**,
77 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტის
სოფელი ჭობარეთი. 2023 წლის ოქტომბერი

განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო,

იწურება 2023 წელი. რედაქციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დროულად გამოსულიყო გაზეთის თითოეული ნომერი და ადრესატამდეც შეუფერხებლად მისულიყო.

იმისათვის, რომ მომავალშიც გაზეთმა ჩვეულ რეჟიმში წარმართოს თავისი მუშაობა, უმორჩილესად გთხოვთ, ვისაც ჯერ კიდევ არ გადაუხდია წლევანდელი წლის ხელმოწერის ღირებულება, დროულად დაფაროთ დავალიანება.

შეგახსენებთ ჩვენს საბანკო რეკვიზიტებს:

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ს/კოდი 223100908
ანგ.N GE72LBO113115795007000
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

რედაქცია

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com